ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 19 (1392) 29.IX.-05.X. 1994 წ.

## ცილისმწამებელი მხილებულია

**მოულოდნელი, მაგრამ ფაქტია, რომ „საქართველოს" რედაქციამ დღევანდელი ალვირახსნილი უკანონობის პირობებში, მაინც შეძლო ნათელი და უეჭველი მასალის მოპოვება იმ ბინძური ცილისწამების სამხილებლად, რომელიც „ლიტერატურულმა საქართველომ" და რამდენიმე პარლამენტარმა გააჩაღეს ნ.ნათაძის წინააღმდეგ. დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ერთ ინტერვიუს.**

**დანარჩენ მასალებს — დოკუმენტებს ფოტოასლებითურთ მოგაწვდით შემდეგ ნომერში.**

ვასილ გოცირიძე:

## მინდა ნათელი მოვფინო ერთ გახმაურებულ საქმეს...

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს ის სპეციფიკური შემთხვევაა, როდესაც ყველაფრის თქმა საჯაროდ უბრალოდ არ შეიძლება, რადგან ამან შეიძლება, არა მარტო ჩვენი, არამედ ჩვენი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებიც შელახოს. საერთოდ, ობიექტურად არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა სახელმწიფო საიდუმლოება და თუ ჩვენ სახელმწიფო საიდუმლოებას არ ვუფრთხილდებით, სხვა სახელმწიფოს საიდუმლოებას მაინც უნდა გავუწიოთ ანგარიში. ამიტომ ზოგიერთი რამ შეიძლება არ ვთქვა ან პირდაპირ არ დავარქვა თავისი სახელი და ეს მხოლოდ და მხოლოდ ზემოთაღნიშნული გარემოებებით იქნება განპირობებული (ეს ყოველივე რა თქმა უნდა, არ ეხება იმ სპეციალურ ორგანოებს, რომლებიც ამ საქმით არიან დაინტერესებულნი და მას იკვლევენ. მათ მაქსიმალურად ყველაფერი უნდა იცოდნენ ამ საქმის გარშემო და რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, იციან კიდევაც).

თავის დროზე, მოხდა ისე, რომ ერთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენლები ჩემზე გამოვიდნენ და შემოგვთავაზეს ძალზე ხელსაყრელი პირობებით გარკვეული, დავარქვათ ასე ნივთების შეძენა, რომელიც მაშინაც და ახლაც ძალზე გვჭირდებოდა და გვჭირდება. ეს იყო შარშან მაისის თვეში. ამის შემდეგ, ბუნებრივია, მე შევეცადე საქმის კურსში ჩამეყენებინა ყველა ის ორგანო თუ პირი, რომელიც ამ საქმით უშუალოდ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული (სამსახურებრივი მოვალეობის გამოც) და ჩემზე კომპეტენტური ამ საკითხებში. ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ მართლაც შემოთავაზებული პირობები ძალზედ ხელსაყრელი იყო, ხოლო ნივთები მეტად მრავალფეროვანი და ჩვენთვის უკიდურესად საჭირო. პრობლემა ეხებოდა მხოლოდ ფინანსებს, თანხას, რომელიც უნდა გამოეყო სახელმწიფოს ამ ნივთების შესაძენად. ხაზი უნდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ეს ხდება მაისის თვეში და იმას,რომ ლაპარაკი იყო მხოლოდ და მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებაზე (სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფაზე) და არავინ მაშინ არ აყენებდა კრედიტის გამოყოფის საკითხს ამ საჭიროებისათვის. პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკება მეორე მხარესთან, რომელსაც ჩვენი მხრიდან თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი წარმართავდა სათანადო სახელმწიფო რწმუნებებით. ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და მიღწეულ და ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ჩვენი მხარე, გარკვეული რაოდენობით შეიძენდა აღნიშნულ ნივთებს და გადაიხდიდა შესაბამის საფასურს. ყველაფერი ეს კეთდებოდა ოფიციალურ დონეზე და ყველა დაინტერესებული ორგანო თუ პირი საქმის კურსში იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მაისიდან სექტემბრის თვემდე, მიუხედავად მრავალი ცდისა და არა ერთი სიტყვიერი დაპირებისა, სათანადო თანხის გამოძებნა არ მოხერხდა. შეიქმნა მეტად საჩოთირო სიტუაცია — შეთანხმება მიღწეულია, მას ხელი აქვს მოწერილი სათანადო რწმუნებების მქონე ოფიციალური პირის მიერ, ჩვენთვის გამოსაგზავნი

დასასრული მე-2 გვ.

## კიდევ ერთი სკანდალი ფინანსურ სფეროში

### (ბელგიის პოლიციამ დააკავა საქართველოს ფასიანი ქაღალდებით კიდევ ერთი მოვაჭრე)

**დვალიშვილის** ბურუსით მოცულმა თვითმკვლელობის ფაქტმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ის,რომ ე.წ. „კრედიტების" საქმე დროულად არის გამოსაკვლევი.

სანამ ბოლომდე არ გაირკვევა ამ პოლიტიკის, როგორც ფინანსური, ასევე სამართლებრივი და ზნეობრივი მხარეები, მანამ არ იქნება დაძლეული იმ პერიოდში დამკვიდრებული მახინჯი ტენდენციები, რომელნიც მომავალშიც არაერთხელ შეგვახსენებს თავს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის შებღალვათა და ეროვნული ეკონომიური ინტერესების საზიანოდ.

მას შემდეგ, რაც გაზეთ „სარანგში" გადმოიბეჭდა გახმაურებული წერილი ავსტრიის ერთ-ერთი გაზეთიდან სახელმწიფოს მეთაურის მიერ, ავსტრიელ საფინანსო ავანტიურისტისათვის 6 მილიარდი დოლარის ოდენობის ფასიანი ქაღალდების გადაცემის თაობაზედ და ამ ფაქტით ავსტრიის პოლიციის დაინტერესების შესახებ, ალბათ ნებისმიერი გონიერი ადამიანი თავს შეიკავებდა მორიგი, უშედეგო ფინანსური მაქინაციისაგან. არადა...

ჩვენთვის სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ბელ-

დასასრული მე-2 გვ.

გაზეთ „საქართველოს" მე-18 ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბ-ნმა სოლიკო ხაბეიშვილმა ბრძანა: „ჩვენს ფონდს, სხვების მსგავსად, არავითარი კრედიტი არ აუღია, ხოლო ის ფული, რაც შემოტანილია, კვლავ ხელუხლებლად გვაქვს და თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია გაუჩნდება, მობრძანდეს და თავად დარწმუნდება ჩვენს სისუფთავეში".

## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს

### ს.ხაბეიშვილის ინტერვიუს გამო

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ ბატონი სოლიკოს სიტყვების სისწორე, მაგრამ ფაქტები სამწუხაროდ სხვაზე მეტყველებენ. საფინანსო წრეებიდან სარწმუნო პირებმა გვაცნობეს (გარკვეული მოსაზრების გამო ვინაობას არ დავასახელებთ) მეტად საგულისხმო ინფორმაცია, რასაც ემატება გაზეთ „7 დღის" 1993 წლის 25 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული მასალა — სენსაციური დოკუმენტების, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული შეღავათიანი (ხშირ შემთხვევაში უპროცენტო) სესხების შესახებ. ფონდს „დემოკრატია და აღორძინება" 1993 წლის პირველი იანვრიდან 18 მარტამდე სამჯერ მიუმართავს ეროვნული ბანკისათვის და კიდევაც მიუღია სესხი: ჯერ 51 მილიონი რუსული მანეთი, შემდეგ ერთი მილიარდი მანეთი. და ბოლოს 10 მილიონი რუსული მანეთის ოდენობით. იმდროინდელი კურსით ეს თანხა აღემატება მილიონ ამერიკულ დოლარს. გაზეთში მიცემულ იმავე ცხრილში ნახსენებია არაერთი ფირმა,რომელიც ამა თუ იმ ფორმით არის დაკავშირებული აღნიშნულ ფონდთან და რომლიდანაც გატანილი აქვთ დიდძალი, თითქმის ნაჩუქარი სესხი. დღეს უკვე ყველამ კარგად ვიცით, რომ ინფლაციის წყალობით საბანკო სისტემის მიერ გაცემული სესხებიდან მათი თავდაპირველი ღირებულების მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი ბრუნდებოდა უკან, დანარჩენი კი?...

გია თვალავაძე

# ცილისმწამებელი მხილებულია

პირველი გვერდიდან

ნივთები ტრანსპორტირებისათვის მზადაა, თანხა კი არ ჩანს. ამას ემატება სიტუაცია, როდესაც ეს ნივთები ჩვენთვის უბრალოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა (ყველას კარგად გვახსოვს შარშან სექტემბერში დატრიალებული მოვლენები). მხოლოდ ამ მოვლენების ფონზე და სექტემბრის თვეში გაჩნდა იდეა ამ პროექტის საკრედიტო დაფინანსებისა, რადგან ყველა სხვა გზა (საბიუჯეტო დაფინანსება, რომელიმე კერძო პირის თუ პირთა ჯგუფის მიერ საკუთარი სახსრებით დაფინანსება) მიუხედავად ჩვენი მრავალგზის ცდისა უშედეგო აღმოჩნდა. „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდმა“ სექტემბრის თვეში შემოგვთავაზა თავისი დახმარება ამ საქმეში, რაც გამოიხატებოდა შემდეგში — სახელმწიფოს უნდა გამოეყო კრედიტი ამ ფონდზე, რომლის ნახევარი დაუყოვნებლივ მოხმარდებოდა ზემოთაღნიშნული ნივთების შეძენას, ხოლო მეორე ნახევრით, ფონდი კომერციულ ოპერაციებს ჩაატარებდა, რაც მას საშუალებას მისცემდა მისთვის გამოყოფილი კრედიტი მთლიანად დაეფარა სახელმწიფოს მიერ დარიცხული სათანადო პროცენტის ჩათვლით (ანუ იღებდა მისთვის გამოყოფილი თანხის ნახევარს, აბრუნებდა კი მთლიანად). შეიძლება ეს არ იყო საუკეთესო გამოსავალი (როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაგვარწმუნა, ეს მართლაც ასეა), მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ყველა სხვა გზა ვცადეთ და ამ გადაწყვეტილების მიღება ფაქტიურად ციტნონტში მოხდა.

იმისათვის, რომ კრედიტი გამოყოფილიყო, საჭირო გახდა სათანადო შუამდგომლობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სახელზე და ასეთ შუამდგომლობაზე ჩვენი თხოვნის შემდეგ და არა ფონდის წევრებისა, რომელთაც იგი არ იცნობდა და რომელნიც თვალით არ უნახავს, ბ-ნ ნოდარმა, როგორც პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარემ უარი არ გვითხრა, რადგან ძალზედ კარგად მოეხსენებოდა, თუ როგორი საჭირო იყო და რამდენი სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო ჩვენთვის ზემოაღნიშნული ნივთების დროულ მოწოდებას. უარის შემდგომ, რომელიც ბ-ნ ნ.ნათაძეს ოფიციალურად ეცნობა, მას არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არავითარი მონაწილეობა აღარ მიუღია ამ საქმეში, არ ესწრებოდა იგი მინისტრთა კაბინეტის დახურულ სხდომასაც, სადაც კრედიტის გამოყოფის საკითხი იხილებოდა. იმყოფებოდა სოხუმში. ამ სხდომას ჩემსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გარდა ესწრებოდა პრემიერ-მინისტრი და ყველა მაშინდელი ვიცე-პრემიერი (ი.სარიშვილის გარდა). დახურული სხდომის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (რომელიც გაფორმდა კიდეც საიდუმლო დადგენილების სახით), რომლის საფუძველზეც გამოიყო კრედიტის სახით გარკვეული თანხა (იმის ნახევარი, რაც თავდაპირველ მოთხოვნაში იყო), რომლის ნაწილი მოხმარდა კიდეც აღნიშნული ნივთების შეძენას და ჩამოტანას, ხოლო მეორე ნახევრით ფონდს უნდა უზრუნველეყო თანხის მთლიანი დაბრუნება სახელმწიფოსათვის. სწორედ ამ მეორე ნახევრის საქმეს იძიებს ახლა რესპუბლიკის პროკურატურა და იმედია ნათელსაც მოჰფენს. რაც შეეხება ბ-ნ ნ.ნათაძის როლს ამ საქმეში, იგი მხოლოდ ზემოთ ნაამბობით შემოიფარგლება და რაიმე ურთიერთობა ზემოთაღნიშნულ ფონდთან არც მანამდე, არც შემდგომ მას არა ჰქონია.

# კიდევ ერთი სკანდალი ფინანსურ სფეროში

პირველი გვერდიდან

გიის პოლიციამ დააკავა საქართველოს რესპუბლიკის რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ოდენობის ფასიანი საბანკო ინსტრუმენტებით („გარანტიებით“) მოვაჭრე საეჭვო პიროვნება. ეს ინფორმაცია ინტერპოლის მიერ გადაიცა საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომლებმაც ეს ამბები მყისვე აცნობეს საქართველოს ელჩს აშშ-ი ბ-ნ. პეტრე ჩხეიძეს. ამ უკანასკნელმა აღნიშნული შეტყობინება გადმოუგზავნა საქართველოს სახელმწიფო მეთაურს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს. ეს დოკუმენტი ალბათ ინახება სახელმწიფოს მეთაურის აპარატში და ღირსია გამომზეურებისა.

როგორც ირკვევა, ავსტრიული საქმის მსგავსად საგარანტიო ფასიანი ქაღალდები საქართველოს ხელისუფლების ნებართვით სასპეკულაციოდ უცხოელი მოქალაქეებისათვის გადაცემული ყოფილა ფირმა „კაქტუსის“ მიერ, რომლის პრეზიდენტიც გახლავთ სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი ბიზნესის დარგში, ვინმე დიმ სტურუა,რომელიც კარგა ხანია თბილისში არ იმყოფება. ალბათ, მას შემდეგ დაიწყო უცხოეთში საქმიანობა, რაც გავლენიანი სახელმწიფო პირების ხელშეწყობით და ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის პირადი განკარგულებით სახელმწიფო-კომერციულ ბანკ „ინდუსტრიაბანკიდან“ მიიღო ჯერ 10 მილიარდი, შემდეგ 5 მილიარდი კუპონის „ნაჩუქარი“, თითქმის უპროცენტო სესხი (1993 წლის აპრილი-მაისის კურსით დაახლოებით 4 მილიონი ამერიკული დოლარი).

ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეგვიძლია. საქართველოდან გაცემული მრავალი ათეული საბანკო და სამთავრობო გარანტიების და სხვა სახის ფასიანი სახელმწიფო ქაღალდების მეშვეობით საქართველოს ხელისუფლებას არ მიუღია არც ერთი ცენტი სესხი. ისინი ხელში უვარდებოდათ ფინანსურ მაქინატორებს, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის პრესტიჟის დაცემას იწვევდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, სახელმწიფოთა და გავლენიან ბიზნესმენთა თვალში.

# არა ის რეჟიმი, არა ეს რეჟიმი, არამედ რაღაც სხვა...

## (გასაუბრება «მრგვალმაგიდელთან»)

მრგვალი მაგიდის მრავალი წარმომადგენლისთვის არა აქვს მნიშვნელობა დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციაში ხარ თუ არა. მთავარი მათთვის ის არის, დამხობილ ხელისუფლებას მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ოპოზიციაში ედექი თუ ემხრობოდი. თუკი ოპოზიციაში იყავი, მიუხედავად იმისა, მის წინააღმდეგ იარაღით იბრძოდი თუ არა, მაინც ქვეყნის მტრად და ამომგდებათ ჩაგთვლიან. ზემოთ ნათქვამის თვალნათელი დადასტურებაა გაზეთ „ფორუმის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებული ბატონ მიხეილ ჩაჩუას თხზულება „უსათაურო ჩანაწერები“. ავტორს მოჰყავს პრეზიდენტის დამხობიდან ცოტა ხნის შემდეგ ბატონ ნოდარ ნათაძის ტელევიზიით გამოსვლის შინაარსი, ბატონ ნოდარს ხელისუფლებაში მოსული დროებითი მთავრობა უკანონო გზით მოსულად ჩაუთვლია, მაგრამ ისიც აღუნიშნავს,რომ ზვიად გამსახურდიას საქართველო უფსკრულისაკენ მიჰყავდაო. ამ უკანასკნელის სიტყვებით გაღიზიანებულ მიხეილ ჩაჩუას აქამდე გულით უტარებია ბატონ ნოდარისადმი ბრაზი და რისხვა და დღეს ნიშნისმოგებით წერს: „აი, თქვენმა დღევანდელმა მთავრობამ კი, ბატონო ნოდარ, თქვენ რომ უკანონო გზით მოსულად მიიჩნიეთ, პირადად თქვენი და თქვენი კოლეგა ოპოზიციონერთა შემწეობით, არა მარტო უფსკრულამდე მიიყვანა საქართველო, გადაჩეხა კიდეც უფსკრულში“. ეს ფრაზა თითქმის თავიდან ბოლომდე სიცრუით არის სავსე, ჯერ ერთი, მაშინდელ დროებით მთავრობასა და დღევანდელ მთავრობას შორის დიდი განსხვავებაა, პირველი მართლაც არ იყო არჩევნების გზით მოსული და ამდენად არც ლეგიტიმური იყო, რასაც ვერ ვიტყვით ამჟამინდელ მთავრობაზე, რადგან 1992 წლის ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მიერ დემოკრატიულ არჩევნებად იქნა აღიარებული. ამგვარი პარლამენტის მიერ დამტკიცებული მთავრობა კი შეუძლებელია უკანონოდ ჩაითვალოს. მეორეც, სასაცილოა იმის მტკიცება, რომ ბატონ ნოდარ ნათაძეს რაიმე შემწეობა აღმოუჩენია ამ მთავრობისათვის ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხვის საქმეში. პირიქით, იგი მთელი თავისი მრწამსითა და საქმიანობით ეწინააღმდეგებოდა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას იმ საშუალებებით, რასაც მას საპარლამენტო უმცირესობაში ყოფნა აძლევდა. ამის შესახებ ალბათ თქვენც კარგად უწყით, ბატონო მიხეილ, მაგრამ მაინც იმას ამტყუნებთ, რაც თქვენ გაწყობთ. გაწყობთ კი ის, რომ „მრგვალი მაგიდა“ და გამსახურდიას ხელისუფლება წარმოჩნდეს ერთადერთ მართალ და სწორ პოზიციაზე მდგომ ეროვნულ ძალად, რომელიც თითქოსდა მხოლოდ იმპერიულმა ძალებმა დაამხეს. ის, ვინც „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლებას ოპოზიციაში ედგა და ამჟამადაც მის ხელისუფლებაში აღდგენის იდეას არ იზიარებს, თქვენს მიერ კრემლის აგენტებად და მეხუთე კოლონად ინათლება. მიზანი ადვილად ამოსაცნობია. ამ ხერხით „მრგვალ მაგიდელებს“ გსურთ ლაფში ამოსვაროთ ყველა ვინც თქვენს მმართველობას აკრიტიკებდა და თქვენი ხელახალი აღზევების წინააღმდეგიცაა. მოკლედ, ბატონო მიხეილ, თქვენ და თქვენი თანამოაზრეები თქვენთვის სასარგებლო, კარგად გათვლილ პოლიტიკურ თამაშს ეწევით, მაგრამ როგორც ხედავთ, მისი ამოცნობა არც ისე რთულია. დღეს ამ ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის ფონზე გსურთ წარმოჩნდეთ ჭეშმარიტ ეროვნულ ხელისუფლებად, მაგრამ ძნელია ხალხს დაავიწყოთ ის, რომ სწორედ თქვენი ხელისუფლების უპასუხისმგებლო, ანტიდემოკრატიული და კოლაბორაციონისტური მმართველობის გამო მოხდა ეროვნული მოძრაობის გათიშვა, სამოქალაქო ომის პროვოცირება და საერთო ჯამში საქართველოში ეროვნული ძალების დისკრედიტაცია, რითაც კარგად ისარგებლეს როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულმა პრორუსულმა და პროიმპერიულმა ძალებმა.

აქსიომაა,რომ უმაღლესი ხელისუფლება აგებს პასუხს ქვეყანაში მომხდარ მოვლენებზე. სწორედ იმიტომ გააჩნია მას ძალაც და უფლებაც ანუ ძალაუფლება, რომ ისე წარმართოს საქმე, როგორც ქვეყნის ინტერესებში შედის. ის ხელისუფლება კი, რომელმაც მასთან ოპოზიციაში მყოფი ძალები თავისი ანტიდემოკრატიული და რეპრესიული პოლიტიკით სამხედრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა, ეროვნულ ინტერესებს ვერ დაიცავდა. გავიხსენოთ გამსახურდიას ხელისუფლების მიერ 2 სექტემბრის, 4-5 ოქტომბრის, 2 დეკემბრის მიტინგების დარბევა-დახვრეტა, ოპოზიციონერთა დაპატიმრებები.

ის ხელისუფლება, რომელმაც თავისი რიგების ერთიანობა ვერ შეძლო და პირიქით, დანასისხლად გადაკიდებულ მტრულ დაჯგუფებებად დაიშალა, ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავდა, ლაპარაკია „მრგვალი მაგიდის“ ორ მტრულ ბანაკად, გამსახურდიასა და სიგუა-კიტოვან-ადამიას ბანაკად დაშლაზე.

ის ხელისუფლება, რომელიც მოწოდებული იყო ქვეყნის თავისუფლებისათვის თავგანწირვის მაგალითი ეჩვენებინა ხალხისათვის, მაგრამ პირველივე რეალური საშიშროების გაჩენისთანავე დაფრთხა და მტერთან თანამშრომლობის კოლაბორაციონისტურ გზას დაადგა, ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავდა. ლაპარაკია 1991 წლის 13 აგვისტოს მოსკოვის იმპერიულ „პუტჩთან“ გამსახურდიას ხელისუფლების დამოკიდებულებაზე, მაშინ როცა ყველა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა რესპუბლიკამ დაგმო ის იმპერიული ავანტიურა.

ის ხელისუფლება,რომელმაც უღალატა თავის საარჩევნო პროგრამას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ და სოციალისტური მეურნეობის შენარჩუნება დაისახა მიზნად, ლაპარაკია გუგუშვილის მინისტრთა კაბინეტის მიერ სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეების შემოგდებაზე, ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავდა.

ის ხელისუფლება, რომელმაც პრეფექტების ყავლგასული ავტორიტარული სისტემა შემოიღო, ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავდა.

ის ხელისუფლება, რომელიც მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების მეთაურებს ლანძღვა-გინებით ავსებდა, ოდიოზური მმართველობის იმიჯს იქმნიდა და საქართველოს იზოლაციონარიზმის გზაზე აყენებდა, ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავდა.

ის ხელისუფლება, რომელიც საეჭვო საკადრო პოლიტიკას აწარმოებდა და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდა აშკარად კორუმპირებულ ან გაუნათლებელ ადამიანებს და ხელს უწყობდა ქვეყანაში მაფიოზური კლანების შექმნას და გაძლიერებას,

დასასრული მე 8-გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა

# კუკუმალულობა გრძელდება

ამჯერად აჭარას ივლისის თვეში, ბათუმში ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ უწყვეტ ვფიქრობ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ზოგადი ინფორმაცია უშუალოდ ნანახსა და განცდილზე.

აჭარაში თვალში საცემია ინფორმაციული ვაკუუმი — ცარიელია საგაზეთო ჯიხურები, ელექტროენერგიის დეფიციტის გამო თითქმის ვერ ნახულობენ საქართველოს ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გადაცემებს.

ამ ბოლო ხანებში, აჭარის მოსახლეობაში ეცემა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის რეიტინგი.

ამის ძირითადი მიზეზი უნდა იყოს მისი მხრიდან უამრავი და შეუსრულებელი დაპირებები, პოპულისტური განცხადებები და ა.შ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გავიხსენოთ გასულ წელს აჭარის ხელმძღვანელის ვოიაჟები ევროპაში, საიდანაც, მისივე აღნიშვნით, უამრავი ხელშეკრულებათა პაკეტები ჩამოიტანა და ამით, არათუ აჭარის, მთელი საქართველოს ჩიხიდან გამოყვანას გვპირდებოდა. ახლა კი — ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, მან ევროპელები არახელსაყრელ პარტნიორებად წარმოსახა („თუ ვერ მოუხვდი, გაგაცურებენო") და სწორედ ამის გამო, ყველა ხელშეკრულება გააუქმა. (საკითხავია — იყო კი საერთოდ რაიმე ხელშეკრულება!)

ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას, აჭარის ხელმძღვანელი აჭარის სიდუხჭირეს თბილისს აბრალებს, გასაქანს არ მაძლევენ, რათა უცხოელებთან სხვადასხვა ხელშეკრულებები გავაფორმოო. ამით კი ცხადი ხდება, რომ იგი ბევრ შემთხვევაში ისეთ რამეებს ეპოტინება, რაც მისი კი არა, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.

ყველაფერი ეს, ერთად აღებული, აჭარის დღევანდელი ყოფის ფონზე, ნათელს ჰფენს აჭარის ხელმძღვანელის პოლიტიკური კურსის არსს, რაც კიდევ ერთხელ გაცხადდა მიმდინარე წლის ივლისის თვის მოვლენებში. კერძოდ, მან 12 ივლისს მორიგ, რიგით მესამე — პოსტკომუნისტურ შანტაჟს მიმართა: შეკრიბა აჭარის ე.წ. აქტივი და განგაშით აუწყა, რომ აჭარის თავზე შავი ღრუბელი ჩამოწვა — მხედრებს შემოჭრა აჭარაში, იგზავნება ტერორისტული ჯგუფები აჭარაში დესტაბილიზაციისა და პირადად აბაშიძის ლიკვიდაციისათვის და სხვ.

ეტყობა, აჭარის ხელმძღვანელს ძილი დაუფრთხო იმ გარემოებამ, რომ გარკვეულმა ძალებმა ხელი დაიბანეს მის პირად მეგობარზე ლოთი ქობალიაზე, რის შემდეგაც მისი აყვანა აღარ გასჭირვებიათ შესაბამის სამსახურებს. არაა გამორიცხული ისიც, რომ იგი წონასწორობიდან გამოსულიყო ერთ დროს მისი ერთგული, შემდგომ კი განდგომილი მოსკოველი ჟურნალისტის ვლადიმირ მეზენცევის ვრცელი მამხილებელი წერილის ქართულ გაზეთებში გამოქვეყნების გამო. ისიც ფაქტია, რომ ამ მორიგი შანტაჟის შემდეგ, მან პირველად ვერ შეძლო ბათუმის ქუჩებში რუსული ტანკების გამოყვანა, რამაც, ბუნებრივია კიდევ უფრო მეტად შეაშფოთა იგი.

ბათუმში შეკრებილმა ე.წ. აქტივმა მიმართვა მიიღო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტისა და საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელიც ულტიმატური რუბრიკით — „აჭარა მოითხოვს, აჭარა აფრთხილებს!" გამოქვეყნდა 13 ივლისის გაზეთ „აჭარაში". ქვეყნის ოფიციალურმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს მიმართვა არ გაავრცელეს, რითაც ქართველი ხალხის თვალში გარკვეული მფარველობა გაუწიეს როგორც აჭარის ხელმძღვანელს, ისე მიმართვაზე ხელისმომწერთ.

სამთავრობო კომისიას, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა აჭარაში ვითარების შესასწავლად, ჯერჯერობით ქმედითი არაფერი გაუკეთებია. მაგრამ კომისიის ზოგიერთი წევრის თვით უბრალო განცხადებიდანაც ცხადი გახდა, რომ ეს განგაში სხვა არაფერი იყო, თუ არა აჭარის ხელმძღვანელის მორიგი „პერმანენტული ისტერიკა". ასე თუ ისე, აჭარის ხელმძღვანელისათვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა კომისიის შექმნის ფაქტი. (იგი მიეჩვია და არ ელოდა ასეთ რეაქციას!).

ივლისის ამბებით და მისგან გამომდინარე ქმედებებით მთლიანად გამჟღავნდა ა.აბაშიძის მიერ გათამაშებული პოლიტიკური სპექტაკლის ფარსი... თითქოსდა ყველაფერს ერჩმეოდა თავისი სახელი, მაგრამ... მაგრამ, ამ საყოველთაო განუკითხაობის ჟამს რა გამოლევს ფლავისმძიებლებს, რომელთაც მოუკალათებიათ როგორც ხელისუფლებაში, ისე საინფორმაციო საშუალებებში, სხვაგან და სხვაგან. მივყვეთ თანმიმდევრობით.

სამთავრობო კომისიამ, ფაქტობრივად წაუყრუა და შეფასება არ მისცა აჭარის ხელმძღვანელის მორიგ გამოხდომას, თუმცა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ე.წ. აქტივის მიმართვა აუცილებლად საჭიროებდა რეაგირებას. შეიძლება კომისიამ, გარკვეული მოსაზრებით კვლავ დუმილი ამჯობინა, მაგრამ ეს კომისიის უმოქმედობის ახსნაა და არა გამართლება!..

6 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" აჭარის ხელმძღვანელი ბიჭის ცრუ ძახილის — „მგელი, მგელი!" იგავსაც გვახსენებს და შენიშნავს: „ხალხს ჭორებითა და ხრიკებით ვერავინ მოატყუებს!" ა.აბაშიძე ამ სიტყვებს რატომღაც სხვების მისამართით ავრცელებს, არადა იგი აჭარის ხელმძღვანელის მორიგ უსაფუძვლო განგაშზეა ზედგამოჭრილი. იმ ბიჭისა არ იყოს, მასაც სწორედ მესამე ცდაზე აღარ დაუჯერეს, კომისია შექმნეს და ამ კომისიის თვით დუმილითაც, არც მეტი, არც ნაკლები, ამ განგაშის უსაფუძვლობა დადასტურდა!..

7 აგვისტოს სატელევიზიო პროგრამა „მაცნეს" ღამის გადაცემაში, რამდენიმე წუთი დაეთმო აჭარის თემას, სადაც, რა თქმა უნდა, ფიგურირებდა აჭარის ხელმძღვანელი და თანაც ეს სიუჟეტი, რბილად თუ ვიტყვით, უცნაური პასაჟებით იყო შეზავებული.

ჟურნალისტებმა აჭარის ხელმძღვანელებთან შეხვედრა ვერ შეძლეს, რადგანაც იგი თურმე მთელი ღამის განმავლობაში უშუალოდ მონაწილეობდა ბანდიტთა 6 კაციანი ჯგუფის აყვანაში და უძინარი გახლდათ (ამ დროს ის ახალნაოპერაციებიც იყო); მთაში, ჟურნალისტების მიერ მოხუცი აჭარლების გამოკითხვა აჭარის მთებში ტერორისტების გამოჩენაზე (ამ პასაჟის ხელოვნურობა და გულუბრყვილობა შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა); ერთი ასაკოვანის სურვილი — „ბაბუს" ავტომატი უნდა ვთხოვო თავის დასაცავადო. „მაცნეს" ამავე ინფორმაციაში, აჭარის უშიშროების უფროსის მოადგილემ ლამაზად გახვეული პაკეტები გვაჩვენა და თან დასძინა — ეს ოთხასი გრამი ტროტილი ბათუმის მეჩეთის კედლებიდან ამოვიღეთო. ცოტა ადრე ერთ ინფორმაციაში, მეჩეთის კედლებიდან ოთხი კილოგრამი ტროტილის ამოღებაზე იყო საუბარი. ნეტა რომელი ინფორმაციაა აქედან მართალი? ახლახან კი საინფორმაციო საშუალებებმა ზარ-ზეიმით აუწყეს მოსახლეობას პირადად ა.აბაშიძის ნობათზე — თბილისის პოლიციისადმი (3 მსუბუქი ავტომანქანის საჩუქრად გადაცემაზე თუმცა არავის აინტერესებდა პირადად ა.აბაშიძე რა სახსრებით იძენს ამ ავტომანქანებს.

მოკლედ, კუკუმალულობა, რომელიც დაიწყო საქართველოს ხელისუფლებასა და აჭარის ხელმძღვანელს შორის 1992 წლიდან, დღემდე გრძელდება. რაც არ უნდა მოიმოქმედოს აჭარის ხელმძღვანელმა, ბოლოს მაინც მოიძებნება მისი მხარდამჭერი ძალები. როცა ქვეყნის ერთ-ერთი რეგიონის თავკერძა ხელმძღვანელს კოჭს უგორებს ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო მისადმი დითირამბებს არ იშურებენ საინფორმაციო საშუალებები და მათ კვერს უკრავს ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ არც ხელისუფლება მტკიცე და მავანთაც ქვეყნის ინტერესები ჩირად არ უღირთ.

მიხეილ მახარაძე

ინტერვიუ

## ედიშერ ჩარგაზია:

# ზუგდიდისათვის ყველაზე მძიმე პრობლემა ლტოლვილებია

ჩვენში ამ ბოლო სამი წლის მანძილზე მიმდინარე პოლიტიკური ვნებათაღელვის ერთ-ერთი ეპიცენტრი ზუგდიდიც გახლდათ, რამაც ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო ზუგდიდელთა ცხოვრება, დაანგრია ეკონომიკა, გაიძარცვა წარმოება-დაწესებულებები, დაიწვა და განადგურდა მრავალი შენობა-ნაგებობა, დაპირისპირებულ ბანაკად დაიყო ადგილობრივი მოსახლეობა.

საბედნიეროდ, ეს უკვე განვლილი ეტაპია. ზუგდიდი დღეს გამოცოცხლდა, ქუჩებში ხალხი მომრავლდა, წარმოება-დაწესებულებათა დიდი ნაწილი ამუშავდა და რაც მთავარია, წესრიგი დამყარდა. ზუგდიდელ კაცს უკვე აღარ ეშინია თავდასხმების, ყაჩაღ-ბანდიტების და გულმშვიდად აკეთებს თავის საქმეს. რა თქმა უნდა, ისევე, როგორც სრულიად საქართველოს, დღეს ზუგდიდსაც უამრავი პრობლემა აწუხებს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ აღმშენებლობითი პროცესი აქ ნამდვილად მიმდინარეობს და ქალაქიცა და რაიონიც ნელ-ნელა იშუშებს ჭრილობებს, მხრებში იმართება და იმედიანად შესცქერის ხვალინდელ დღეს. ქვემოთ გთავაზობთ ინტერვიუს ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებელთან ბატონ ედიშერ ჩარგაზიასთან.

**— ბატონო ედიშერ, დღეისათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ზუგდიდისათვის, ისევე, როგორც მთელი ქვეყნისათვის, ლტოლვილების პრობლემაა. მათი დაბრუნება მშობლიურ ადგილებში უსათუოდ შეუწყობს ხელს რაიონში სასიკეთო პროცესების შემდგომ გაღრმავებას. თქვენი აზრით, რას მოიტანს შევარდნაძის, გრაჩოვისა და არძინბას ამასწინანდელი შეხვედრები?**

— ამ შეხვედრამ გზა უნდა გახსნას, უნდა გაალღოს უნდობლობის კედელი. მთელი საქართველო ამას ელოდა, რომ დაწყებულიყო ეს პროცესი, დამთავრებულიყო ნგრევის პერიოდი. ბევრს შეიძლება არ მოეწონა ბატონი ედუარდის გუდაუთაში ჩასვლა, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო, ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება იყო. მითუმეტეს, რომ გრაჩოვისა და ბატონი ედუარდის შეხვედრა უკვე მერამდენეა, არძინბასთან კი ამ ომისშემდეგ პირველი, მე მჯერა, რომ ჯერჯერობით გალში და მერე მის იქითაც გადავლენ ლტოლვილები, ვინაიდან საქმე ეხება ამ პროცესის მშვიდობიან დარეგულირებას, მაგრამ ამისათვის, გრაჩოვ-შევარდნაძე-არძინბას ძალისხმევა არ კმარა. საჭიროა ყველა ლტოლვილისა და იმ ადამიანთა მხარდაჭერა და მონდომება, ვინც ამ პროცესებთანაა დაკავშირებული.

**— თქვენ, როგორც ზუგდიდის გამგებელი, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისა და ლტოლვილების მშობლიურ კერაზე დაბრუნებისათვის მიმართული თითქმის ყველა ამ ბოლოდროინდელი პროცესის უშუალო შემსწრე და მონაწილეც ბრძანდებით. როგორ მოგაჩნიათ, გაკეთდება კი ყველაფერი ისე, რომ ჩვენთვის, ქართველებისათვის სასიცოცხლო ინტერესები არ დავთმოთ?**

— აქ თუ აფხაზეთის სტატუსს გულისხმობთ, ჩემის აზრით, ალბათ, ეს

დასასრული მე-7 გვ.

# არა საჭმელი, არა სასმელი — არც სულიერი საზრდო?!

მეტად შემოგვეჩვია სიტყვა კრიზისი. რადიოთი, ტელევიზიით, პრესით, თითქმის ყოველდღიურ ურთიერთობებში, რადგან დღესდღეობით არსებული პრობლემები უბრალოდ პრობლემატურნი კი არ არიან, უშუალოდ ხსენებულ სიტყვასთან მიედინებიან და ინთქმებიან. სწორედ ეს მდგომარეობა განფენილია ჩვენს ყოფიერებაში, ბუნებრივად ქცეულა მცნება, რომელიც თავისი მნიშვნელობით იმისი მაუწყებელია, რომ ბოლოს განსაზღვრა მოკვდავის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება. მხოლოდ ერთი შეიძლება დანამდვილებით ვიცოდეთ, ბოლო იქნება, რადგან ყოველივე მიწიერი სასრულია და ეს დასასრული, თავისთავად ახალის საწყისი, ან ავი იქნება, ან კარგი. ცხადია, იმის მიხედვით, თუ რამდენად ამტანი გამოდგება კრიზისულ, ანუ უკიდურესად მწვავე მდგომარეობაში მყოფი ორგანიზმი, თავი ძალიან რომ არ შევაწყინოთ ამ ყველასათვის ნათელი ჭეშმარიტების მტკიცებით, ერთ მტკივნეულ საკითხს შევეხებით, რაც ზემოთქმულთან უშუალო კავშირშია. საქმე წიგნების ბაზარს ეხება. ამ სინტაგმამ ჩვენს სიტყვიერებაში ბოლო დროს მოიკიდა ფეხი, ისე, როგორც საერთოდ ბაზართან დაკავშირებულმა სხვადასხვა პრობლემებმა, რაც ადრე მხოლოდ განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ამბებად ითვლებოდა, ხოლო თავისი ცხოვრების ნახევარგზაზე შემოლამებული სოციალიზმი კი კონტროლდაკარგული მიექანებოდა შეუცნობადობისაკენ.

წიგნების ბაზარი ჩვენში უპირველესად ვულგარული ლიტერატურით მოზღვავდა. მყუდრო შენობებიდან, ბუკინისტური მაღაზიების მშვიდი ატმოსფეროდან წიგნები ქუჩებსა და მოედნებზეც გამოვიდნენ და თავისუფალი ბაზრის ორომტრიალში ჩაებნენ. თბილისში ბაზრით ვის გააკვირვებ, რომ არაფერი ვთქვათ ფერად-ფერადი ჯიხურების ალყაზე, აღებ-მიცემის ბუდედ ქცეული ქალაქის ქუჩები, მოედნები, მიწისქვეშა გადასასვლელები თუ მეტროპოლიტენის სადგურების მისასვლელები რომ მოვთვალოთ, ქალაქი კი არა, პერსპექტიული ბაზარი შეგვრჩება ხელთ. იმ ნივთებისა და ხორაგის ზღვაში, ყოველი მხრიდან რომ შემოსჯარვია ადამიანს, მნიშვნელოვანწილად წიგნები დომინირებს. თეოლოგიური, კრიტიკული, სამეცნიერო, ესთეტური თუ მხატვრული ლიტერატურა დახლზე მშვიდად გაწოლილა, მნახველს კი აბნევს არჩევანისას ასეთი აღრევა. ამ მხრივ შედარებით უკეთესია მდგომარეობა უმაღლესი სასწავლებლების მახლობელ ტერიტორიებზე განლაგებულ სავაჭრო წერტილებში. სასწავლებლისდა შესაბამისად სჭარბობს სამედიცინო, ტექნიკური, მხატვრული თუ სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურა, ისე კი ყველაფერი ერთ ქვაბში იხარშება და თუხთუხებს. ფასები ყველგან ზღაპრულია, თანაც სტაბილური, ფასდაკლებას თითქმის არ ექვემდებარება. სანაპიროზე გამართულ დიდ ბაზრობაზე თუ დაგიკლებს ფასს რომელიმე საქართველოდან ასაბარგებლად გამზადებული აჩქარებული ოჯახის წევრი. უკვე ნახავთ ბუკინისტურისათვის დამახასიათებელ სიძველეებს და სერიოზულ ლიტერატურას ყველა სფეროს მიხედვით, შესაბამისად, მანეთებში ან სულაც დოლარებში. თუ მყიდველი ხარ, კიდეც დაგიკლებენ, თუმცა ეს ფასდაკლება სულაც არ ნიშნავს ნებისმიერისათვის ხელმისაწვდომ საფასურს. დღესდღეობით, საიმწიგნოდ მომზადებული ინტელექტუალი ნაკლებად შეძლებს სასურველი წიგნის შეძენას. ამ უშოვარ--უპოვრობაში კუპონის შემყურე ადამიანისათვის უბრალოდ წარმოუდგენელია საჭირო ლიტერატურის ყიდვა იმ ფასად, რომელმაც კუპონებში შეიძლება ასტრონომიულ ციფრსაც მიაღწიოს. არც სხვაგანაა უკეთესი ვითარება. ყველგან მანეთი ბატონობს და საკმაოდ ცუდი ღირსების წიგნსაც დიდი ფასი აქვს, უმეტესობისთვის მიუწვდომელი, რადგან სხვა რომ არა იყოს რა, ადამიანი იძულებულია ჯერ პროდუქტი შეიძინოს, რომ იარსებოს და მერე წიგნი, რათა სულსაც მოუფონოს როგორმე. და ხედავ, როგორ იხლიჩება ადამიანი, როგორ იძარცვება სული. არა საჭმელი, არა სასმელი, არც სულიერი საზრდო?

ნინო ფაცურია

მწერლობა

# გიგა თუთბერიძე

გიგა თუთბერიძე სრულიად ახალგაზრდა, 29 წლისა დაიღუპა. სიკვდილი მისი იყო ტრაგიკული.

აფხაზეთის ბრძოლებში მას თავი არ დაუზოგავს. ომის დაწყების დღიდან იბრძოლა სამშობლოს გადარჩენისათვის.

იყო შესანიშნავი პროზაიკოსი, უდავოდ დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა. ასე უდროოდ მისი დაღუპვა დანაკლისია არა მხოლოდ ოჯახისა და ახლობლებისათვის, არამედ თანამედროვე ქართული მწერლობისათვის.



# ეშმა

– ИЗВИНИ, ... — მომესმა, შევხედე, თავგადაპარსული შავგრემანი უხერხულად იშმუშნებოდა, — ТУДА, — მეტროს სალაროზე მიმითითა, — ПЯТЬ КОПЕЕК НАДО БРОСАТЬ?

— НЕТ, ПЯТНАДЦАТЬ, — და გზა განვაგრძე.

ბინდი ჩამოწვა. „პიკის" საათი მთავრდებოდა. რაც კი ქალაქში რეკლამა იყო, აინთო. აციმდა.

ნაბიჯს ავუჩქარე — რა სჯობია ახლა გაბუღულ აბაზანას, მერე საწოლს...

კარი გავაღე და ონკანებს ვეცი. აბაზანა აივსო. ნაძვის ექსტრაქტი ჩავყარე, წყალი გამწვანდა, სასიამოვნო სუნი დადგა.

წყალში ჩავწექი. დილანდელი უსიამოვნება თავიდან ამომივარდა... გავიმშრალე და დამშვიდებული ჩემი ოთახისკენ გავემართე. ოთახიდან მუსიკა ისმოდა. ალბათ, ჩავრთე და არ მახსოვს-მეთქი. კარი შევაღე. სავარძელში ორმოციოდე წლის ეშმაკი იჯდა.

ეშმაკი მანამდე არ მენახა.

შეჭაღარავებული თმიდან ორი პატარა რქა ამოჩროდა. თვალებს ზედმეტად არ აცეცებდა. ცხვირი კეხიანი ჰქონდა, ტუჩები — თხელი, ყურები — წვეტიანი. შავი ქურთუკი ეცვა, კარგად მორგებული ჯინსი და სპორტული ფეხსაცმელი. ფრჩხილი მხოლოდ ნეკზე ჰქონდა წამოზრდილი ლანცეტის პირივით. ხელში გასაღებების ასხმულა ეჭირა.

— ეშმაკი ხარ?

— ვისთვის ე, ვისთვის — მიქელ გაბრიელი, ვის როგორ მოვევლინები, თავაზიანად გამიღიმა მან, მზერა უსიამოდ მომაყინა.

— რა გინდა?

— მანქანა გამიფუჭდა, უნდა დამეხმარო.

— მანქანა? — გამიკვირდა.

— არ შეიძლება ეშმაკს მანქანა ყავდეს? — თავის მხრივ გაიკვირვა მან.

ვერ ვუპასუხე.

— ჰა, მოდიხარ?

— ახლავე. ჩავიცვამ და... — ხალათზე დავიხედე.

— სადარბაზოში დაგიცდი.

უჩუმრად გასხლტა კარში. გაოგნებულმა სწრაფად მოვისხი ქურთუკი.

სადარბაზოში მიცდიდა. კეპი დაეხურა. მანქანაზე მიმითითა. წითელი „ჟიგული" საკმაოდ შელანძღული მეჩვენა.

მოტორს ჩავხედე, დიდი არაფერი. ხუთიოდე წუთში მოვრჩი. ეშმას კითხვით შევხედე. არც შეუმოწმებია, ცერი ასწია— კარგიაო.

— დაჯექი.

—?!

— დაჯექი, გეტყვი, — მანქანას ოდნავი კოჭლობით მიუახლოვდა, საჭეს მიუჯდა. მანქანა საათივით მუშაობდა. გვერდით მივუჯექი. სწრაფად წავედით.

გზა გასწორდა, გაფართოვდა. ხეების ნატამალი არ იყო გარშემო. ღამის ათი საათი უნდა ყოფილიყო, ჰორიზონტი კი შეწითლდა. გვერდზე გავიხედე — იქითაც სიწითლე. ყოველი მხრიდან თენდებოდა.

— ეს რა, მზეები...

— ხო! — ვითომ ამიხსნა.

თანდათან გონს მოვდიოდი. თავი გავაქნიე. ისევ მანქანაში ვიჯექი და საჭეს... ეშმაკი ჰო, ეშმაკი მართავდა.

... ჩემი ოთახი, ეშმა სავარძელში, მანქანა, ახლა კიდევ ეს საშინელი განთიადი. ეუ — და მძღოლს გადავხედე. ჩემსკენ არც მოუხედია, ისე მკითხა:

— რაო...

— არაფერი, — ჩავიბურტყუნე.

მანქანამ სვლა შეანელა, ბოლოს გაჩერდა.

ეშმა გადავიდა, მეც. კაპოტი ახადა. ორმა თავმა ამოიხედა... მოტორის მაგივრად შიგ ორი კაცი იჯდა. ერთმა, ქერათმიანმა, ეშმას შეჰღაღადა:

— წყალი!!!

ეშმამ ვედრო აიღო, ჩაანერწყვა და პირთამდე გაავსო. შემდეგ თავებს დაასხა. იმათ — იფ, იფო.

ეშმამ კაპოტი დახურა და ხელით — დაჯექიო, მანიშნა. ალბათ, შეშლილი სახე მქონდა, მოვიდა, კარი გააღო და ბავშვივით ჩამსვა. გზა განვაგრძეთ. სიგარეტი ამოიღო. გავაბოლეთ.

— მტკვარია? — ვკითხე.

— ჰო. როგორ გააფუჭეს, ნახევარი თივაა. — მერე გადმომხედა, — ისე, ყოჩაღად. რამ შეგაშინა... — მეც ვცდილობდი, რაც შეიძლება, მომეთოკა ნერვები.

— ფეხი სად იტკინე?

გაეცინა.

— მეტროში. ხუთ კაპიკიანის ნაცვლად თხუთმეტკაპიკიანი ჩავაგდე და მუხლში მგლიჯა.

დავიზაფრე:

— მაშინ რქები რომ არ გქონდა?!

შუბლზე თითი მიიკაკუნა.

„თან თავი ჰქონია გადაპარსული,... თუმცა ეშმაკია", — გავიფიქრე.

— სწორი ხარ, — დამემოწმა.

— აჰა, ფიქრიც არ შეიძლება. რამე ცუდი არ გავიფიქრო,... ეს რა დღეში ჩავვარდი... მაშინ რა თქვა? — ვისთვის ეშმაკი, ვისთვის მიქელ გაბრიელიო?!

— ეხლა ეშმაკი ვარ. — და რქებზე მიმითითა. დავმშვიდდი.

— როცა მიქელი ხარ, მაშინაც ასე ჩაცმული მიადგები ხოლმე კაცს? — ვკითხე.

— არ შეიძლება, — სინანულით გააქნია თავი, — არადა, რა მოხერხებულია, არა?

მზე თუ მზეები აღარ ჩანდნენ. ცა განათდა. დაცხა. გზის გარდა ყველაფერი წვრილ ქვიშას დაეფარა.

გზისპირას ვიღაცა იდგა და ხელს გვიქნევდა. ეშმამ პირველად იხმარა მუხრუჭი. სადისტური ღიმილით დააჭირა ფეხი პედალს.

— ვაააი, ალმოხდათ კაპოტიდან და გავჩერდით. მგზავრი მოგვვარდა.

— მიხა, შენა?

არასდროს ასე არ გამხარებია ანტონის დანახვა, როგორც ახლა. ანტონი ჩემი მეზობელი გახლდათ. მაღალი, ჩხირივით გამხდარი, მუდამ მხიარული და ცქვიტი, ახლა პირდაღებული მიცქეროდა.

— დაჯექი, — უთხრა ეშმამ.

ანტონი სწრაფად ჩახტა მანქანაში. ძონძები ემოსა — რაღაც პრეისტორიული ჯუბა, წელს ქვემოთ ტილოს დიდი ნაგლეჯი.

— აქ როგორ მოხვდი, ანტო?

— ბიჭო, ეს რა მომივიდა! — ქოშინებდა ის, — ტაქსი გავაჩერე, ბებიაჩემის სახლთან მივიყვანე,... არა, გვერდით სახლთან. ფული არ მქონდა. მოგიტან-მეთქი. უცნაური შოფერი იყო, სულ იკრიჭებოდა. ჰოდა, წავედი. იმ სახლის სადარბაზოს მეორე გასასვლელი არ ჰქონია და სახურავზე ავედი. ის კიდე იდგა და არ მიდიოდა. გავიყინე იქ ჯდომით. სამი საათი ვიჯექი. ბოლოს წაეთრა.

ეშმამ ღიმილით გადმოხედა.

— ეს ვილაა? — ჩურჩულით — შარიანად მკითხა ანტონმა.

— ეშმაკი.

ანტონი დაფეთდა და მზერა მძღოლისკენ გააპარა.

— მერე რა მოხდა?

— ჰო, — ეშმაკს თვალს ვერ აცილებდა, — გავიყინე და აბაზანა ცხელი წყლით ავავსე... ჰო, ბებიაჩემთან. ჩავედი და ხუთ წუთში წყალი გაიპარა. წყალსადენში მეც ჩამისრუტა... აბაა, აქ მოვხვდი. ეს ძონძებიც აქ ვიპოვე.

ერთხანს ვდუმდით. ანტონი წრიალებდა, მერე წამჩურჩულა:

— ბიჭო, ეს იმ ტაქსის შოფერს წააგავს. გაჩუმდა, მერე — ეს მართლა ეშმაკიაო — მკითხა. თავი დავუქნიე.

— საით მივდივართ? — ხმამაღლა იკითხა.

ეშმამ პასუხი არ გასცა. მე მხრები ავიჩეჩე. ანტონმა კისერი წაიგრძელა და ეშმას რქებზე მიაცქერდა.

— არა.

— ვაა! — თან, ალბათ, რაღაც ცუდი გაიფიქრა, რადგან ეშმამ ზრდილობისკენ მოუწოდა.

ამ დროს ცა წამით ჩამობნელდა, ისევ განათდა.

— იწვიმებს, — დაასკვნა ეშმამ. მართლაც, გაწვიმდა. როცა გადაიღო, — ასფალტიც მშრალი იყო და ქვიშაც. მე და ანტონს ოდნავაც არ გაგვკვირვებია. გამოლენჩებულები ვისხედით და მიდამოს ვათვალიერებდით.

რაღაც შენობასთან მივედით. მუხრუჭი, ისევ — ვაააი!

— ვა, ეს ვინა ყვირის? — მკითხა ანტონმა.

— მოტორი, — მშვიდად ვუპასუხე.

შენობა ზანზარებდა. ორი დიდი რუპორი მთელი ხმით უკრავდა ქუჩურ სიმღერას — „შემწვარი წიწილა, მოხარშული წიწილა".

ანტონი აღფრთოვანდა. ეშმა დინჯად გადმოვიდა მანქანიდან. ჩვენც გადმოვყევით. შენობიდან მშვენიერი ქალები გამოვიდნენ. მათ ყველაზე ლამაზი გამოეყო და ეშმას შინაურულად ჰკითხა:

— ესენი მოიყვანე?

ეშმა კი ჩვენ მოგვიბრუნდა და ცივად გვითხრა:

— უზრდელებო, ჩემი დაა ეს.

ჩვენ გავწითლდით. ქალს გაეღიმა. სახლის კარი ისევ გაიღო და ვიღაც ლიპიანი ბიძა გამოვიდა:

— რას მოათრევ, მაგათი...

ჩვენზე თქვა. მერე ანტონისკენ გამოიშვირა მოკლე და მსუქანი თითი:

— ეს შებოლილი რაღაც ცუდად იგინება.

ანტონი ოფლად გაილვარა. მიწას ჩააცქერდა და თავი უკმაყოფილოდ გააქნია. ეშმა ისე გვიყურებდა, როგორც მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებმა კომისიის წინაშე შეარცხვინეს.

მე უაზროდ ვიღიმებოდი.

ლიპიანმა ჩემზე იკითხა, — ეს სულით ავადმყოფიაო?

ეშმამ — არაო.

აბა, რა უხარიაო.

სახლის წინ ქვიშისფერ ფორმებში გამოწყობილმა ჭინკებმა ჩაიარეს.

— მეზობელ ეშმაკებთან კონფლიქტი გვაქვს, — აგვიხსნა ეშმამ.

რუპორში ჯარების სახეობას აცხადებდნენ:

— ველოზირებული კოლონა.

ველოსიპედებზე ამხედრებული ჭინკები სწორებას ჩვენკენ იღებდნენ და არ ეცემოდნენ. ლიპიანმა ბიძიამ თავი მოიფხანა. მეწინავე ჭინკამაც თავზე იტაცა ხელი.

— მედესანტეები.

„მედესანტეებს" უშველებელი, დაცხავებული ქოლგები გაედოთ მხარზე და თავებს იფხანდნენ. შემდეგ ჯაშუშებმა ჩაიარეს, თვალები, ყურები და პირი აკრული ჰქონდათ. რატომღაც ყველა ჯაშუში ადამიანი იყო.

— აბა, თქვენ იცით, დამპლებო! — მიაძახა ჯაშუშებს ბიძამ.

ჩვენთვის მერე მოიცალა:

— რა შეამჩნიე?

ეშმაკი გაიჭიმა და მოახსენა.

— კარგი მონაცემები აქვთ. ამან, — ჩემზე მიუთითა, — განგებ მცდარი რჩევა მომცა, კინაღამ მენისკი ავიკიდე. მეორემ კი — ფულს მოგიტანო და სამი საათი ტყუილად მაყურყუტა ამ ყინვაში.

ბიძამ კმაყოფილებით დაამთქნარა:

— გაამწესეთ!... შენ, შებოლილო, მე ნუ მაგინებ, თორემ გაგხეთქავ ცემით. სხვას, თუ გინდა, ხმამაღლა აგინე, კარგიც კია.

„შებოლილი" აშკარად ცდილობდა ბილწსიტყვაობა თავიდან ამოეგდო, შუბლს ისრესდა და ხვნეშოდა.

საიდანღაც რეზინის ბურთი გამოგორდა და იკითხა:

— ახლებია?

ეშმამ დაარტყა და შორს გადააგდო. ბურთი ახტა და აჭყიპინდა:

— ე, რას მირტყამ. თავს იწონებ, არა?

მერე ცოტათი დაწყნარდა:

— ყაზარმაში წავიყვანო?

ეშმამ თავი დაუქნია. ბურთი წინ გაგვიძღვა, თან ილანძღებოდა, — ეგ ოხერი, როგორ ირტყმევინება, ნახე! ყვავო, გამოადგი ფეხი!

ანტონი გაცეცხლდა. — ჯერ „შებოლილიო", ახლა „ყვავიო". ჯუბას რაღაც გამოაძრო და ბურთს დაეწია. ბურთმა საცოდავად დაისიგლა და ჩაიფუშა. ანტონი გაბადრული მობრუნდა, ხელში წამახული მავთული ეჭირა:

— აბა, ჰე!

გავიქეცით. ვირბინეთ და გზაზე გავედით, ვიღაცეები ყვიროდნენ:

— მეთაური მოგვიკლეეს!!!

ალბათ, ბურთზე.

— ოღონდ იმ რქიანმა არ დაგვინახოს, — აღელვებული მორბოდა ანტონი.

„რქიანმა" მაინც დაგვინახა. დაგვეწია, ანტონს ფეხი დაუდო, გაშხლართა. მე ქვა მესროლა და თავში მრეკა...

ვიღაცამ კალმისტარი ამაცალა. ავხედე და გავშრი, — ბანჯგვლიან სახეზე წითელი თვალები წერტილებად ასხდა, ორი ეშვი ზევით ამოსჩროდა, ცალ ჩლიქს მონოტონურად, ნიშნისმოგებით აბაკუნებდა.

ეშმაკი!

— ამის მერე შენც იტყვი, წერა შემიძლიაო? — კბილებში გამოსცა ეშმამ, — რაებს ჯღაბნი. რა ჯინსები, რის ბოტასები, ან მიქელ გაბრიელი რა შუაშია...

კუდი ნერვიულად გააქიცინა:

— ჯოჯოხეთი მასე წარმოგიდგენია? მანქანით დავატარებთ ადამიანებს, მოტორში ხალხი გვიზის. ფუჰ, რა უდღეურები ხართ ადამიანები. შენ მჯღაბნელი ხარ და ჯღაბნე, რამდენიც გენებოს, ოღონდ, — კლანჭიანი თითი მუქარით ასწია, — ჩვენ ნუ გვეხები. და კიდევ, კეთილი ინებე და ყოველდამე ამას, — და მაგიდაზე თავისი ხატი დააგდო, — სანთლები დაუნთე, გაიგე?

— ?!

— გაიგე! — და გაქრა.

ცივი ოფლით გავილიგვე. წმინდა გიორგის ხატს გავხედე. თავის საქმეს აკეთებდა და თან მე მიყურებდა — რისი გეშინია, აგერ არ ვარო? კი იყო, მაგრამ ეშმაც აქვე იყო და...

# ალავერდი თელასთან

— ... ხოდა, ალავერდი ლადოსთან!... რაა ახლა ეს?!

— ავარიაა სადღაც, ე, მეზობელთანაც ჩაქრა.

— ხო-ხო, რა სლოკინი ოუტყდებათ ახლა თელასში!

— კი მარა, ამ ახალ წელს რომ გამოგვირთეს, რას ფიქრობენ, ნეტა?

— რავა, ახალ წელს არ შეიძლება ავარია მოხდეს?

— გაჩუმდი, კაცო, შენ!... არ გააწყალა გული ამ ავარიებით.

— მართლა, ვინაა ეს, საიდან მოვიდა, ვინ ხარ, კაცო, შენ?

— აჰ, იონა, ძამია, მეზობელია ჩემი და არ გინდა...

— შენ გეკითხები... ქეთი, სანთელი აანთე, თუ ქალი ხარ.

— რასაა, რომ ლაპარაკობ, ვის... მოვა სინათლე და გიჩვენებ, ვინცა ვარ!

— ხოხ!!! უყურე ამ...

— არ გინდა-მეთქი, იონა, გემუდარები! სადაა, ქალო, სანთელი?

— ვეძებ.

— ლადო, ასანთი მათხოვე... კაი, შენ აანთე და იმას მიმინათე ერთი, ბევრს რომ ყვირის... მასე! რაა, რომ დაგიყვლეფვია თვალები და მემუქრები, ა სინათლე და ა შენ, რას მიზამ?

— იონა, რა გთხოვე... ლადო, რამ გამოგალენჩა ამხელა კაცი, ასე მონდომებით რომ უნათებ სახეში, ჩხუბი მოგენატრა?

— მთხ... ფქშშშ... მაპატიეთ... მთხოვა კაცმა და...

— არ გვინდა, ქალო, სანთელი! მე მეცით პატივი, მტრის ოჯახში ხართ თუ. გივი, გაართე მაქეთ ხალხი, მართლა ჩხუბი არ ეგონოთ... გივი!... გივი! არ გესმის, კაცო?

— მეგობარო, გივის, მგონი, ძინავს.

— შენ რომელი ხარ?

— დიმიტრიმ თავის მაგივრად რომ დამტოვა.

— ხო, ჭირიმე... შენი სახელი?

— ბონდო.

— ხოდა, მიხედე მაგ ხალხს, ბონდო... ისე გივის სად ძინავს?

— ახლავე... რა ასანთია... მათხოვე შენი „... აუჰ! კი, ძინავს. ვინიგრეტზე დაუდია თავი და ძინავს.

— აპა, არ გაალვიძოთ, თუ არა მოგსვრით ყველას. რომ დალევს, კოცნა უყვარს.

— თამადის ხმა აღარ ისმის... რა თქვი? ხმამაღლა, თუ კაცი ხარ.

— გასულია... იქ.

— დიდი ხანია?

— კი.

— ეუჰ! კოლია, თუ ძმა ხარ, დაუკაკუნე.

— შენ დაუკაკუნე, თუ კაია. რავარი საქმეა...

— შენ რა ყველაფერს უკადრისობ, ა?

— იონა, ისევ დაიწყე? შენთვის ხომ არ უთქვამს .

— მაგას თვალში ვეპატარავები მგონია, იონაა თუ ვილაც.

— ისე ხომ აბნელებ ცას...

— აბა, ჩამოვასხათ ახლა, ჩამოვასხათ.

— სიბნელეა და...

— ჩამოსხმის დროს ასანთს მოუკიდე, მერე პირთან მიიტან როგორმე.

— მაგი დააცილებს.

—ხმაზე ვერ გიცნობ და ისე კაი ავყია ხარ, ვინცხა ხარ.

— კოწიაა მაგი.

— უჰ! ლადო, რა უდროო დროს იცი ხოლმე გამოფხიზლება. ვერ გააჩერებ ენას?

—ეეე! მაიცა რა, შე კაი კაცო, შენა!

— სუ, გივი არ გაალვიძოთ. მიხა, რა გაღრიალებს, შე — კაცო?

— ეეე... სავსე ყანწი მომცა — ჩამამისხიო. დამბანა რა ტანი ამ ოხერმა.

— მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე.

— მიდი, კაცო...

— ყველამ დავისხით?

— ჰე, დავისხით რომელია..:

— აბა, ამით ჩვენს მანდილოსნებს, ჩვენს მეორე ნახევრებს გაუმარჯოს. ქეთევან, გენაცვალე, შენი თამადობით ყველა კაი ქალს გაუმარჯოს. მუდამ ასეთი სათნო და კეთილი ყოფილიყავი. სტუმრებმა მაპატიონ, ცოლს რომ ვაქებ, მაგრამ რა ვქნა, საოცარი ქალია. გაგიმარ... დაამტვრიეს რალაც. რა მოხდა მანდ?

— თამილა სულების გამოსაძახებელ პოლიგონს ასუფთავებდა, ადგილს ანთავისუფლებდა დაე!

— და დროს სულებია ამ ყიამეთში, ქალბატონო თამილა?!

— სწორედ სიბნელეში უნდა.

— რავა ყველას ადვოკატი შენ ხარ, კოლია. ორი თვის ხელფასი მივეცი მაგ სერვიზში.. ქალო, სანთელი სანთელი მომიძებნე, თუ არა, დაგვენგრა ოჯახი.

— თამადა მოვიდა, თამადა!

— სუ, გივი არ...

— კიმარა, სად იყავი ამდენ ხანს?

— გაჩუმდი, ლადო!

— სუ, ... ე! გეილვიძა... კი ჭირიმე... ხო, პატარა დაზიანებაა... კი, კაი ხანია. აჰ! არ მაკოცო. არ ქნა!... ფუჰ, რა მიქნა ეს! ოხ, კოწია, რა უნდა გიყოს კაცმა, რომ ატეხე ბლავილი. გივი, გივი, მომხედე! ე კოწია, გვერდში მიზის, ისე თბილად მოგიხსენია სადღეგრძელოში, მეტი არ იქნება. გამიცვალე, აბა, ადგილი. ნელა! მასე... გაკოცა, ხომ? ხო-ხო-ხო!

— კაცო, ყურადღებით მოუსმინეთ ადამიანს. თქვი, ქალო, თუ არ გვაქვს სანთელი და მეზობელს გამოვართმევთ.

— ვინ მოგცემს ახლა სანთელს, ყველას ჭირდება.

— აჯიკა არ გაქვთ?

— როგორ არა, იონა, სწორედ შენი თაიას გაკეთებული, აი, აგერაა.

— მომაწოდე ერთი... კოლია, მოიწი აქეთ. ლადო, გამინათე.

— ვააი!!!

— რა ამბავია?

— ლადო, შე აბდალო, ახლა ჩააქრე?

— მომკლა... თვალი!

— აჯიკა შეაგლისა, მგონია თვალში.

— ოჰ! სად გაგონილა! ნადირო!

— თამადა, მიბრძანდით იქ, სადაც იყავით, — არაა მაგი თქვენი საქმე.

— ლადო, ასანთი! სახე გაინათე, სახე. ა შენ!

— რას ერჩით ლადოს?

— იცის მაგან... ვისია ეს ყაზილარი, ვინ ხარ, ბიჯო, შენ?... ჰოო, ე მამაშენი!

— რა გინდა, ბიჭო?

— ვერ მივწვდი და შენ გაუკეთე რა!

— რაა ეგ? ასანთი!

— აი რუბილნიკები არაა?!

— კი. ვინ მოხსნა?

— მე ჯემალა ბიძიამ მთხოვა და წავუღე.

— მგონი , ამ ბალანამ დაგვლუპა.

— მოიცა, გავუკეთებ... მაგრამ ეგერ მეზობელთანაც გამორთულია და...

— ეგენი მამა, ჯემალა ბიძიასთან იყვნენ.

— შენც იქ იყავი?

— კი.

— სინათლე თუ იყო?

— კი.

— ა, კოლია, რუბილნიკები, გაუკეთე და მე ამ მამაძაღლს უნდა ავათალო ყურები!

— არ გაუშვათ! მოკლავს!

— ესეც სინათლეეე!

— აუუ! რა ამბავია.

— რას გავს ჩემი ქუდი!

— საფერფლე მეგონა, ბოდიშ... რა უნდოდა მაგიდაზე ქუდს!

— ვის ასულიერებენ იქ?

— კოლიას.

— იონა სადღაა?

— არ ჩანს.

— უჰ, მაინც რას გავს აქოურობა.

— აბაა! საჭმელიც რომ სულ შეუჭამიათ.

— დედა, რაფერ კივის ეი ბალანა!

— მოუხდება.

— კაი ახლა, წავედი მე და გადმოდი ხვალ ჩემთან.

— ნახვამდის. თუმცა მეც მოვდივარ.

# რუსებისათვის დატოვებული ავი ანდერძი პეტრე პირველისა

## ანდერძი

პეტრე I ანდერძი პირველად გამოქვეყნდა 1812 წ. ფრანგი პუბლიცისტის ლეზიურის წიგნში „რუსეთის სახელმწიფოს ზრდა, მისი შექმნიდან მე-19 ს. დასაწყისამდე“. ლეზიური ამტკიცებს, რომ პეტრე I-ის ანდერძის პეტრესეული ხელნაწერი ინახება რუსეთის მეფეთა არქივებში.

ანდერძის ძირითადი შინაარსი ასე გამოიყურება. რუსეთის, რუსი ხალხის უწყვეტი ომის მდგომარეობაში ყოფნაა საჭირო. წინ წავწიოთ ყველანაირი საშუალებებით, ჩრდილოეთით ბალტიის ზღვის გასწვრივ და სამხრეთით შავი ზღვის მიმართულებით. ხელი შევუწყოს ინგლისის, დანიისა და ბრანდენბურგის კეთილმოსურნე ურთიერთობას შვეციის მიმართ, რათა ბოლოს და ბოლოს დავიმორჩილოთ იგი. დავაინტერესოთ ავსტრია თურქეთის ევროპიდან განდევნაში. მხარი დავუჭიროთ პოლონეთში არეულობას,რათა შემდგომ დავიპყროთ იგი. და თუ სხვა სახელმწიფოები წინ აღგვიდგებიან, მაშინ დროებით მათთან ერთად გავინაწილოთ პოლონეთი, მაგრამ შემდგომ მათ ეს ნაწილებიც წავართვათ. ხელში ჩავიგდოთ ინდოეთის სავაჭრო გზა. ვენის სამეფო სახლი გადავკიდოთ ვერსალის სახლს, რათა მათ შორის გაჩაღდეს ომი, რომელიც შემდგომ საყოველთაო ომად იქცევა და ამ დროს რაინზე გავგზავნოთ რეგულარული ჯარი, შემდეგ გავგზავნოთ ხმელთაშუა ზღვაში და ატლანტიდის ოკეანეში ფლოტი და გადავსხათ იტალიაში, საფრანგეთში და ესპანეთში დესანტი ამ სახელმწიფოების დასაპყრობად. გამოვიყენოთ თურქეთის, უნგრეთისა და პოლონეთის მართმადიდებელი მოსახლეობა ამ ქვეყნების დასაპყრობად.

### ავთანდილ ხარაიშვილი

# ქართული ზღვა

*არის ქვეყნები არა აქვთ ზღვა*
*გალაკტიონი*

არის ქვეყნები ამ
ქვეყანაზე,
არა აქვთ ზღვებზე გზა,
მისამართი;
დაძრწიან სხვათა
ზღვების შარაზე, —
არ გაქვს უფლება
სიტყვა-კამათის.
გნებავთ? — ათასჯერ
ხაზი გაუსვით!
(გაუწყრათ ზღვა და
მისი გამჩენი!)
დაკარგული აქვთ
სინდის-ნამუსი
და დანარჩენი მისი
ნარჩენიც!
რაც არ გააჩნდათ, რას
დაკარგავდნენ,
დაწყევლილები
გამჩენ-განგებით;
მაინც როდემდე, მაინ
სადამდე —
ჩვენი ზღვისაგან ჩვენი
გაგდებით!
— შავი ზღვა კოლხებს,
შავი ზღვა ბერძნებს —
არსთა განმრიგემ
გაუსვა თითი;
მაგრამ სატანა ვერა და
ვერ ძლებს,
რაც არ ეკუთვნის
ითლის და ითვლის.
პეტრე პირველის
ღორულ ანდერძით
სხვათა ზღვებს ისევ
ეპოტინება;
შურით, ბოღმით და
გესლით გაძეძგილს
მისი ჰგონია, თურამ
ინება!
გადასხმული აქვს თავზე
თავსლაფი,
მასთან რას მივა თავლა
ავგიის;
მსოფლიო სისხლის
მსმელი ყასაბი,
თავდები ყველა
შფოთის, მაფიის!
— კონსტანტინოპოლს
ვინც რომ დაიპყრობს,
მის ხელთ სამყაროს
არის კარები! —
აქ გასაკვირი ვისთვის
რა იყო,
ეგრეა პეტრეს
დანაბარები!
როდის გაიგებს
ქართველი შტერი:
რა დარჩა სხვარამ შავი
ზღვის ფასი;
რუსი ზღვის ქურდი,
პირველი მტერი,
განგსტერთგანგსტერი
კოსმოსურ კლასის!
რაც დაუბარა
იმპერატორმა,
ვერც ცვლის ვერცერთი
ელცინ-მელცინი;
თუკი სალაფავს მიაგნო
ღორმა,
დინგს წაკრავს
სინდისგამორეცხილი!
მტერი სამარეს ზღვაში
გითხრიდეს,
არ დაგიტოვა ბოსტანში
პრასიც...
რას მოგაყრიან იმდენ
სიმდიდრეს,
რომ ფასი ჰქონდეს შავი
ზღვის ფასის!
ღორი ზღვისათვის
ღდინსაც გაიცლის, —
დათმობს მსოფლიო ამ
დიდ სალაფავს?
რაც გვაბადია, ფასი არ
ვიცით
და განმკითხავეიც არვინ
არა გვყავს.
დარდით ამაოდ
ფიქრებს დავიღლი, —
ათასი შტერი დამაყრის
სიცილს;
არ ვიცით მადლი ჩვენი
შავი ზღვის,
საერთოდ ფასი
არაფრის ვიცით!
ამდენი ძალა რა გვაქვს
იმდენი:
ყველა ნათლია, ყველა
ნათლული...
ღმერთის წყალობით,
ღმერთის იმედით
ჩვენ გვაქვს შავი ზღვა
ჩვენი
ქართული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1924-1994

# აჯანყება რუსთა წინააღმდეგ

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №18, 1994 წ.)

გიორგი ლეონიძე

## საქართველო

შენ ფიროსმანის შვიდლარიან მარნებში გხედავ,
გადაპოხილა შენი მკერდი, როგორც სარწყავი.
სისხლის საპალნით დატვირთული, ვინ დაგიხვეტა
ბრგე თეძოები ბელტებივით დასაფარცხავი.

ტანი ყამირი როგორც ხმალი ელავს ჩამდგარი,
ვინ დაჩექმილი ჩემი სული შხამებს დარია.
აქაფებულა შუაღამე, როგორც ჭაგარი,
ვილამ დაიდგნოს, ვინ შაებას კარად დარიალს.

ტაძარს ალავერდს შემოაფრენს ტალღას შორევი,
დგანან უზანგში: ღვთისმშობელი და მოურავი,
რკინის პალოზე გადავარდნილს ვხედავ ხანძარებს.

მოდის შამქორი. სოლანლუხი. დროშების მტვერი.
ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტიერი
და შენი სისხლი გაჭედილი, შიშით ზანზარებს.

1924 წ.

## აგვისტოს აჯანყება

შალვა ამირეჯიბი

აგვისტოს აჯანყების შესახებ პირველად მიხდება წერა, თუმცა მას აქეთ 5 წელიწადმა გაიარა. მე მირჩევნიან, რომ ამ ღირსშესანიშნავ ამბავზედ სხვებმაც წერონ. სხვანაირად რომა ვსთქვათ, თვით აგვისტოს აჯანყებისათვის იქნება კარგი, რომ მის შესახებ მერე დაწერონ და არა ეხლა არის რაღაც ფრიად ამაღლებული და დაუთვლელი ქართველი ერის ამ თავგანწირულ ნაბიჯში და ამავე დროს ბევრი ანგარიშიანობა და დოქტრინიორობა თანამედროვეთა შორის, რაიცა ხელს გვიცარავს, რომ ჩვენი დრო ნამდვილად და სწორედ მიუდგეს მას. პირადად მე დღემდისაც ის მოწიწება შემრჩა, რომელიც იმ დღეებში მქონდა და რაიცა მაშინ ყველა ქართველისათვის ერთად, ერთ განცდას შეადგენდა.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმემ გადასწყვიტა ან მისი თავიდგან აცილება ვისმეს შეეძლო და არ ინდომა. აჯანყების წინ ერთი მეგობარი დავიბარე, რომელიც ჩვენს საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ რომლის აზრს დიდ ანგარიშს უწევდი და გავენდე. მე ვენდობოდი, როგორც იმის ჭკუას, აგრეთვე იმის პირუთვნელობას და მისი საშუალებით მსურდა გამეგო, როგორ მოეკიდებოდა აჯანყებას, საზოგადოებრივად დაქსაქსული და დაფანტული ქართული გულის ის სინდისი, ურომლისოდ, როგორც მე თვითონაც კარგად მესმოდა, კაცი კაცს გამარჯვებას ვერ ეტყვის, არამც თუ აჯანყება მოიწონეო.

ადვილად გასაგები მოსაზრებით მე იმ კაცს არ ვასახელებ, მაგრამ ჩვენ შორის დაახლოებით ასეთი ბაასი გაიმა:

— აჯანყება მოხდება! უთხარი მე.

— ეგ უგუნურება იქნება! მიპასუხა მან.

— ყოველი აჯანყება აუცილებლობის გამო ხდება. უგუნურება არაფერ შუაშია.

— ეგ აუცილებლობა უფრო თქვენთვის არსებობს, ფარული ხალხისათვის, ვიდრე ქართველი ერისათვის.

— სცდები. აჯანყებაზედ ქუჩაში უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ფარულ წრეში. ქართველი ერი ჩვენზედ, ფარულებზედ, უფრო მრავალია, ჩვენ იმის წინაღმდეგ ვერას გავხდებით.

— ხალხი, რომელიც ქუჩაში ლაპარაკობს აჯანყებაზედ, აჯანყებას ვერ მოაწყობს. თუ აჯანყება მოხდა, თქვენი, ფარულების და, მაშასადამე, უმცირესობის მოწყობილი იქნება და არა უმრავლესობის... ქართველი ერისა!

— მაშ რა ვქნათ? აჯანყება მაინც იქნება!

და როგორც ეხლა მაგონდება, აჯანყების ამ პირუთვნელმა მოწინააღმდეგე ადამიანმაც ვერ მითხრა — რა ეშველებოდა საქმეს. ჭეშმარიტად რომ აჯანყება თავისით მოდიოდა, ის მოდიოდა ხალხში გამეფებულის სულისკვეთებისაგან, როგორც ორთქლი წყლიდან, წვიმა — ღრუბლიდან, ალი — ცეცხლიდგან. ამ სულისკვეთებას ჩემი მეგობარი ჩემზედ უკეთესად იცნობდა, ვინაიდან ეს წელიწადები, როგორც ფარული კაცი, მე ოთახში „ვიჯექი“ — ის ხალხში ტრიალებდა.

აჯანყება მართლა მოხდა. ის მოხდა ჩვენი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყურძნის კურთხევის თვეში. ჩვენმა წინაპრებმა რომ კახას თავზედ მონღოლების წინაღმდეგ შეთქმულება მოაწყეს — ესეც ზაფხულში იყო. საქართველოს ბუნება, მისი ხალხი, იმისი ციხე-მონასტრები, ტყეში ასე უხვად გაბნეული და იმისი წარსული, არასოდეს ასეთი დარდით არ განიცდიდა, როგორც იმ დღეებში. შემდეგში, როდესაც გამარჯვებული მტერი აჯანყების მეთაურებს და მონაწილეებს ასამართლებდა, ბოლშევიკიპროკურორი გესლიანობდა აჯანყებულებს შტაბი შიო-მღვიმის მონასტერში ჰქონდათო. იასონ ჯავახიშვილმა შესაფერი პასუხი გასცა, რასაც მკითხველი ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ამოიკითხავს. ბოლშევიკი-პროკურორი არამც თუ მართალი არ იყო, შემცდარიც არ იყო და ამ ბოლშევიკურ სიბრიყვეს განზრახ სჩადიოდა, რომ თავისი საქციელით, ვითომდა მონასტრიდგან „მოწყობილ“ აჯანყებისათვის სახელი გაეტეხა.

აჯანყების კომიტეტი შიო-მღვიმის მონასტერში არა მჯდარა და „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ მხოლოდ გზად იყო იქ. შიო-მღვიმეში აჯანყების მეოთხე დღეს მივედით და იქიდგან არაგვზედ ვაპირებდით გადასვლას. მაგრამ ქჩოლოყაშვილი ერთი დღით ადრე წავიდა დუშეთის ასაღებათ და ჩვენ მხოლოდ მეორე დღეს უნდა გავსდგომოდით გზას. ჩემთვის ეხლა ცხადია, რუსის წითელმა არმიელებმა, რომლებმაც ჩვენი შიო-მღვიმეში ყოფნა ძალიან კარგად იცოდნენ — მანამდე ვერ გაბედეს იქ მოსვლა, ვიდრე ქჩოლოყაშვილი წასული არ დაიგულეს და ჩვენი შეცდომა იქნება ის იყო, რომ ჩვენ ქჩოლოყაშვილს დავსცილდით.

მაგრამ შიო-მღვიმის მონასტერს რომ გზად მოვხვდით, აქაც ისტორიის უნებლიე გამეორებასა ჰქონდა ადგილი, რაზედაც მაშინ, რა თქმა უნდა, არავის გვიფიქრია, დიდებული დავით აღმაშენებელი რომ თავის ერთ მრავალლაშქრობათაგანში მიდიოდა. შიო-მღვიმეში მივიდა და თავისი ანდერძი იქ დასწერა, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, ლაშქრობიდგან ცოცხალი აღარ დაბრუნდებოდა. საქართველოს ტახტის უკანასკნელმა მემკვიდრემ, დავით ბატონიშვილმა, თავის თოფი შიომღვიმის ბერებს გადასცა და ისე დასტოვა საქართველო. როდესაც ერი ისტორიულ ტრადიციებს მოჰკიდებს ხელს, შეუძლებელია უკვე ყოფილ ამბავს არ წააწყდეს. აგვისტოს აჯანყება ერთი ასეთი ქართული ტრადიციის გაცოცხლება იყო.

აჯანყების შემდეგ ლაპარაკობდნენ და სწერდნენ კიდეც რომ აჯანყებამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გეგემონია დაამტკიცაო. სინდისის ქვეშ უნდა ვსთქვა, რომ მარქს-ენგელსის „ახატულ-ჩამოხატული“ დროშები ამ დღეებში არსადა სჩანდა და ხალხი ქართულის დროშებით გამოვიდა მარქს-ენგელსის დროშები ისტორიულად წმინდა დღეებში, ჩვენი მტრების, ბოლშევიკების, ბანაკში დარჩნენ. ამიტომ თუ აგვისტოს აჯანყებამ რამე დაამტკიცა, მხოლოდ ის, რომ ქართველი ერი ამ დღეებში სწორედ ამ დროშებს გამოეყო და სამუდამოდ თავისი ქართული დროშა ააფრიალა. აგვისტოს აჯანყებით საქართველოში ახალი ისტორია დაიწყო. იმისი პათოსი გამოიხატა არა გამარჯვებაში, რომელიც აჯანყებას არ მოჰყოლია, არამედ იმ მოწამებრივ სიკვდილში, რომლითაც ქართველები წმინდა ქართული იდეალისათვის იხოცებოდნენ.

არ შემიძლიან ერთი ამბავი დავუმო, რომელიც მჭერმეტყველად ამტკიცებს, რომ ამ უაღრესად ქართულ დღეებში არა ქართული ფიქრის, მოვლენის და ემბლემის ქართულთან შეგუება ყოვლად წარმოუდგენელი იყო. როგორც ყოველი დიდი სულისკვეთება, იგი სრულიად მარტივ ამბავში გამოიხატა. იმ დღეებში ვილაც თავმომწონე პატრიოტმა, რომელიღაც ბოლშევიკურ დაწესებულებაში ყოველსავე ბოლშევიკურს შოთა რუსთაველის ბიუსტიც ზედ მიაყოლა და კედელს შეახეთქა ამ გადაჭარბებულ აჯანყებულს რომ რუსთაველის ბიუსტი არასოდეს არ უნახავს და ჩვენი უდიდესი ეროვნული ბიუსტიც, უბრალოდ და მარტივად, ბოლშევიკურ ბელადის ბიუსტი ეგონა — ეჭვიც არ უნდა იყვეს. ჭკვიან კაცს აზრად არასოდეს არ მოუვა, მაგრამ მარტივმა გულმა უცბად იფიქრა, რომ თუ რუსთაველი ნამდვილი ქართველი იყო, ბოლშევიკურ ისპოლკომში რა უნდოდა?! ეს „ვანდალიზმი“ ნაციონალიზმის უნებლიე გამოხატულება იყო.

ის საბრალო რომ ბოლშევიკებმა იმ დილასვე მიხვრიტეს, მტკიცებაც არ უნდა, მაგრამ მე ისიცა მგონია, რომ აღსასრულის წუთს, როგორც უკანასკნელი ამ ქვეყნიური ხილვა, შოთა რუსთაველი გამოეცხადა და უთხრა:

„— შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე — მისგან ქმნილი“!

მე არა მსურდა არც აგვისტოს აჯანყების ისტორიის დაწერა, არც მისი პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასება. კაცმა რომა სთქვას, მე ორი ამბავიც ვერ გადავაბი ერთმანეთს, რომ ჩემი დაწერილი მოგონებას მაინც დამსგავსებოდა. მე მინდოდა მხოლოდ იმათი სულების მოხსენება, ვინც იმ დღეებში საქართველოს წმინდა და უბიწო ხატებისათვის მოკვდა.

გაზ. „სამშობლო“ 1929 წ. №2

## ბავშვები ზოგი აკვანში გასრისეს, ზოგი სარებზე ჩამოაცვეს...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო აჯანყების კლასიკური ქვეყანა არის. აჯანყება საქართველოში ყოველთვის დამპყრობელის, უცხო თესლის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამდენად ის მუდამ ეროვნულ და ხალხურ ხასიათს ატარებდა და დროსა და გარემოების მიხედვით ზოგჯერ კუთხური, ზოგჯერ მთლიანი იყო.

აბა ვინ მოთვლის, რამდენი აჯანყება გადაიხადა ქართველმა ერმა თავის თვალუწვდენელ ისტორიის შარა-გზაზე! მხოლოდ მეფის რუსეთის საქართველოში შემოსვლას ქართველმა ხალხმა მეცხრამეტე საუკუნეში 18 აჯანყებით უპასუხა, ხოლო 1921 წლის თებერვალში, მოძალადე მზაკვრულ წითელ რუსეთს სამი აჯანყებით. 1921 წ. მოხდა აჯანყება სვანეთში, 1922 წ. ხევსურეთში და 1924 წელს მთელს საქართველოში, რომლის დროს დატრიალდა ის დიდი ტრაგედია, რომელიც საშვილიშვილოდ გადაეცემა მომავალ თაობებს — როგორც გმირობისა და თავდადების დაუვიწყარი თარიღი. ამ დღეს პატარა ერი იარაღით ხელში დაეტაკა ბუმბერაზ კომუნისტურ ვეშაპს. დაეტაკა, რადგანაც ვერ აიტანა თავისუფლების დაკარგვა, უსამართლობა და ადამიანური ღირსების შებღალვა. ვერ აიტანა ჩვენი ეროვნული არსებობის ქვაკუთხედის — კერძო საკუთრების — მოსპობა. მტერმა დაიწყო ერის განიარაღება ყველა იმ ღირებულებათაგან, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მისი თვითარსებობა. ერმა ვერ აიტანა თავისუფალი დემოკრატიული წყობის მოსპობა, რომელიც მან ნება-სურვილით შექმნა, რათა ის შესულიყო კაცობრიობის ოჯახში თავისი სახით, თავისი ისტორიით და კულტურით, როგორც თანასწორი და თავისუფალი წევრი.

კაცობრიობას ბევრი ეროვნული აჯანყების ნიმუში მოეპოვება. სხვა ერებსაც მიუმართავთ ამ ტრაგიკული ხერხისათვის, მაგრამ არ არსებობს მთელი ერის ასე ერთდროულად და ერთსულოვნად აფეთქება. ამბობენ, რომ ამა თუ იმ მოვლენის მიზანშეწონილება მისი შედეგებით განიზომება. ჩვენ ეს ვულგარულ მიდგომად მიგვაჩნია. აჯანყების გეგმა მარტო ერის განწყობილებასა და მოუთმენლობას არ ემყარებოდა. ის არ იყო სასოწარკვეთილ ხალხის თავმოტულებული ნაბიჯი, არამედ ის იყო დამყარებული ცივ ანგარიშზე, მტრის ძალების შეფასებაზე. თუ არა საბედისწერო გაუგებრობა, ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლა, აჯანყებულები მტერს საქართველოს ტერიტორიიდან აღგვიდნენ. მხედველობიდან არ არის გასაშვები არც სხვა კავკასიელ მეზობლების შემოერთება.

უჩვეულო ხასიათი მიიღო მოძრაობამ დასავლეთ საქართველოში, სადაც ქალი და კაცი ფეხზე დადგა. ადგილობრივი კომუნისტები და ადმინისტრაცია უმალ თოფის გაუსროლელად დაპატიმრებულები იყვნენ და თუ ბრძოლებს ქონდათ ადგილი — ესენი წითელი ჯარის ნაწილები გახლდათ. ასეთსავე ძლიერ გამოსვლებს ქონდათ ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის და მიშა ლაშქარაშვილის რაზმები მოქმედებდნენ და დედა-ქალაქისაკენ მიეშურებოდნენ. დიახ, მთელი საქართველო ჯარასავით დატრიალდა და არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, რომ სამფეროვან დროშის ქვეშ თავისუფლად არ ამოესუნთქოს. აუღებელი დარჩა დედა-ქალაქი, სადაც ჭიათურის ადრე გამოსვლით ხელისუფლებამ თადარი-

დასასრული მე-7 გვ.

მეექვსე გვერდიდან

გი დაიჭირა და ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილები ტფილისს მოაყარა. აღსანიშნავია, რომ თვით ქართველი ერის შიგნით არავითარი ძალა არ აღმოჩნდა აჯანყებულებისათვის ოდნავი წინააღმდეგობა გაეწია.

აჯანყება დაამარცხა მხოლოდ რეგულარულმა რუსულმა ჯარმა, რომელშიც ქართული ნაწილები, როგორც არასაიმედონი, არ ერივნენ. ამ ტრაგიკულ წუთებში, თავის ეროვნულ ერთსულოვანობასთან ერთად ქართველმა ერმა რაინდობა, სიდარბაისლე და უაღრესად კულტურული სიმწიფე გამოიჩინა, მაშინ, როცა შურისძიებით და სისხლით გაბრუებულმა კომუნისტებმა დაუნდობლად და განუკითხავად დაიწყეს ხალხის ხოცვა სოფლად და ქალაქად.

ტფილისში დღისით ჩეკის სარდაფებს ავსებდნენ ციხეებიდან გადაყვანილ პატიმრებით, ხოლო ღამით მათ ეზიდებოდნენ საბარგო ავტომობილები საბურთალოს, ორთაჭალის და კოჯორის მიმართულებით, სადაც მათ სიცოცხლეს უსპობდნენ. ანალოგიური ამბები ხდება, თუ უარესი არა, პროვინციებში. ჭიათურაში თავი მოუყარეს მათ, ვინც ხელში მოხვდათ, ჩაყარეს ვაგონებში, ვითომც ტფილისში გასაგზავნად და სვირსა და ზესტაფონს შუა ყველა ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს. მეამბოხეთა სახლ-კარის გადაწვა-გადაბუგვასთან ერთად უპატრონოდ მიტოვებულ ცოლ-შვილთა მიმართ წარმოუდგენელ სადისტობას იჩენდნენ. სოფელ რუისში (ქართლი) სისხლით დამთვრალი ხელისუფლება სრულიად ამოჟლეტს ფანიაშვილების, კლიმიაშვილების და მამაცაშვილების ოჯახებს. ბავშვები ზოგი აკვანში გასრისეს, ზოგი [illegible] ჩამოაცვეს და ზოგსაც აივნიდან ძირს ისროდნენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს და შემდეგ დახოცეს. კომუნისტები არა თუ ფარავდნენ ამ საზიზღრობას, არამედ, პირიქით, სასახელოდ მიაჩნდათ.

ერის საყოველთაო აჯანყება საერთოდ დიდ მსხვერპლს მოითხოვს და თუ ერი ასეთ ნაბიჯს დგამს, ეს ლაპარაკობს მის დიდ სულიერ სიმტკიცეზე, რომ აქ არის სულიერი გაქანების ბრძოლა და შეუპოვარი წადილი თავისუფლების მოპოვებისა. ამ ბრძოლაში ქართველი ერის ზღვა სისხლი დაიღვარა და ნურავინ გადაჭარბებაში ნუ ჩამოგვართმევს, თუ ვიტყვით, რომ ამ ბრძოლამ გადაარჩინა ის და შეუნახა თავისი საკუთარი ეროვნული სახე. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება და ის მაშინ დასრულდება, როცა ქართველი ერი თავის სანუკვარ დამოუკიდებლობას აღიდგენს.

დამოუკიდებლობის კომიტეტის სასამართლო პროცესის დროს იასონ ჯავახიშვილმა თავისი შესანიშნავი სიტყვა ასე დაამთავრა:

„ჩვენ ვიბრძოლეთ დამოუკიდებლობისათვის; აჯანყება წავაგეთ და ისენი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით წავალთ გოლგოთაზე".

მაგონდება ერთი არაბული ლეგენდა:

მზემ აღარ გამოანათა და დაიკარგა. სიბნელეს ვერ შეეგუა ერთი ჩიტი, რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყნიერებისათვის მზე დაებრუნებინა: ამ მიზნით მან დაიწყო ფრენა სულ ზევით და ზევით, მიაგნო მზეს. აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ჩიტმა მზე ქვეყნიერებას... თითონ ჩიტი კი დაიღუპა.. ის დაიწვა მზის სხივებში".

ლეგენდის მიხედვით — ჩიტმა ქვეყნიერებას მისცა მზე.

შ. ქალანდაძე

გაზეთი „ქართული აზრი"
1974 წლის №97

# ედიშერ ჩარგაზია:

# ზუგდიდისათვის ყველაზე მძიმე პრობლემა ლტოლვილებია

მესამე გვერდიდან

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებით გადაწყდება. რაც უფრო ხმაურიანი იქნება ამ საკითხის მოგვარება, მით უფრო ნაკლები შედეგი ექნება მას. ალბათ, რაღაც ნაწილში ჩვენც უნდა დავთმოთ, რაღაცაში აფხაზებმაც, სხვანაირად შეუძლებელია. თუ როგორ, რა იქნება, ამას შეხვედრები, საუბრები, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ დათმობით ორივე მხარემ რაღაც უნდა დათმოს, თუმცა, რა დოზითა და როგორ, ამას მე ვერ გეტყვით. ისე კი, მიმაჩნია, რომ საქართველომ რაც შეიძლება ნაკლები უნდა დათმოს.

**—დღეს უჭირს საქართველოს, უჭირს ზუგდიდსაც. როგორ ხვდებით ამ ზამთარს და საერთოდ, რა მდგომარეობაშია ზუგდიდის ეკონომიკა, ატარებთ თუ არა რეფორმებს და რა პერსპექტივებია?**

— ზუგდიდში რთული პირობებია. აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ზუგდიდის ეკონომიკის ბედიც. დღეს ისე გამართული ვერ არის ზუგდიდის ეკონომიკა, როგორც ეს ყველა ზუგდიდელს, ყველა ქართველს მოეწონება, მაგრამ იმ პირობების, იმ სუბიექტური და ობიექტური ხელისშემშლელი მიზეზების გათვალისწინებით, რაც საერთოდ ქვეყანაში სუფევს დღეს, შეიძლება ითქვას რომ, ზუგდიდის ეკონომიკის 80% მაინც არის ამუშავებული. ეს ყველა მოქალაქის, ინტელიგენტისა და მუშის ძალისხმევის შედეგია. შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდი რეფორმების ქალაქია. რეფორმები მიმდინარეობს თითქმის ყველა სფეროში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, კულტურაში, საზოგადოებრივი აზრის გარდაქმნაში. შესაძლებლობის ფარგლებში მიმდინარეობს პრივატიზაციის, წარმოებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის უკუქცევადი პროცესი, იქმნება გლეხური მეურნეობები და ა.შ.

**—პარლამენტარები, სახელმწიფოს მეთაური ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ კორუფციასთან, მაფიასთან, სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან დაუნდობელ ბრძოლას. თქვენთან როგორაა ამ მხრივ საქმე?**

— კორუფციასთან, მაფიასთან, რეკეტომანიასთან ბრძოლის პროგრამა, რომელიც რესპუბლიკის ძალისმიერმა სტრუქტურებმა შემოგვთავაზა ადგილებზე, საკმაოდ წარმატებით ხორციელდება. დღითიდღე უმჯობესდება მუშაობა ამ მიმართულებით, იხსნება მკვლელობების, ყაჩაღობების, ბანდიტიზმის რეზონანსური ფაქტები. მიმდინარეობს ბრძოლა ნარკომანიასთან, იარაღის უკანონოდ მატარებელ და შემნახველ პირებთან. განახლებულია სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურა, დაკომპლექტებულია ახალი კადრებით და ეს პროცესი შეუქცევადი იქნება. დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი დადებითი წვლილი შეიტანა რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგებამ ჩვენს რეგიონში. მიუხედავად ამისა, სასურველისაგან ჯერ მაინც შორსაა. ჯერ კიდევ გვყავს სამართალდამცავ ორგანოებში ულირსი, უდისციპლინო, უპასუხისმგებლო, შიშის სინდრომით შეპყრობილი თანამშრომლები. არის დანაშაულისადმი წაყრუების ფაქტებიც. ამჟამად ზუგდიდის ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებები არ არსებობს. მათი ერთი ნაწილი შემორიგებული იქნა, ნაწილი პასუხისგებაშია მიცემული, ნაწილი ძებნაშია, ნაწილმა კი დატოვა რაიონის ტერიტორია.

**—ბატონო ედიშერ, ზოგიერთები ამბობენ, რომ ჩარგაზიამ ძველი კომუნისტების დევიზი შემოიღო მოქმედებაშიო, ანუ „ვინც არ მუშაობს, არ ჭამს". რამდენად მართალია ეს და თუ ურიგდება მოსახლეობას ნორმირებული პური?**

— ნორმირებული პური შესაძლებლობის ფარგლებში რიგდება. ურიგდება იგი როგორც მშრომელ მოსახლეობას, ასევე სოციალურად დაუცველ ფენებს. ხორბლითა და ფქვილით მომარაგების საქმეში არსებული სირთულეების გამო, ის ფენა, რომელსაც ჯიუტად არ სურს შრომაში ჩაბმა, ერთგვარი იძულებითი ღონისძიების სახით გადავწყვიტეთ დაგვეტოვებინა პურის მომარაგების გარეშე, მაგრამ ამჟამად არ არის დარჩენილი არც ერთი სოფელი ან ქალაქის უბანი, რომ ყოველ მეოთხე დღეს მაინც არ მიეწოდებოდეს პური. ჩვენ თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ პურით მოგვემარაგებინა მოსახლეობა და ფქვილისა და ხორბლის დარიგების პრაქტიკას არ მივყევით, რადგან ეს სერიოზულ სიძნელეებს გვიქმნიდა. პურის სარეალიზაციო ფასის მომატება სერიოზულ სირთულეებს შეგვიქმნის მანამ, სანამ მთლიანად არ იქნება კომპენსაციები გაცემული, რაც ფერხდება ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო. ამასთან, მწვავედ დგას ჩაის ფოთლის კრეფვისა და გადამუშავების ანაზღაურების პრობლემაც. დღეისათვის ამ სფეროში დავალიანებამ შეადგინა 950 მილიარდი კუპონი. ფაქტიურად, ივნისიდან დღემდე ჩაის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას კუთვნილი თანხები არ მიუღია. არადა, თანხის მიღება და მისი გახარჯვა მთლიანად დაფარავდა ენერგეტიკის სფეროში არსებულ დავალიანებას. აქ იგულისხმება საწვავ-საცხები მასალები, ენერგეტიკა, შხამ-ქიმიკატები და ა.შ. გაიმართებოდა და ფეხზე დადგებოდა რაიონის ეკონომიკა ბიუჯეტში ჩანარიცხი მოგებიდან, ამ თანხებით შესაძლებელი იქნებოდა რაიონისა და ქალაქის დანგრეული შენობანაგებობების ოდნავ მაინც შეკეთება, ქალაქის კეთილმოწყობა.

**—ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ბევრმა ქარტეხილმა გადაიარა ზუგდიდისა და ზუგდიდელების თავზე. პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ ამ ბოლო ხანს, როგორც ჩანს, იკლო. ეს პოლიტიკურ ოპონენტებზე ძალისმიერი ზეწოლის შედეგია თუ მათთან დიალოგის გზით გამონახეთ საერთო ენა და ისედაც, ერთმმართველი ბრძანებებით თუ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობით მართავთ ქალაქსა და რაიონს?**

— უნდა აღვნიშნო, რომ ზუგდიდისათვის ყველაზე მძიმე პრობლემა ლტოლვილებია. მათი ღირსეული დაბრუნება ერთი-ორად გააუმჯობესებდა ჩვენს ეკონომიკას და მართლწესრიგსაც, ზუგდიდის რეგიონი უფრო შეიკვრებოდა და გახდებოდა უფრო მართვადი. დღეს ზუგდიდში ყველა პარტია, საზოგადოებრივი მოძრაობა გამგეობასთან ურთიერთთანხმობით წარმართავს თავის მუშაობას, არა რომელიმე პარტიის ინტერესებისათვის, არამედ მთლიანად ქალაქისა და რაიონის საკეთილდღეოდ. ჩვენ პარტიებთან თანამშრომლობით, მათი აზრის გათვალისწინებით ვცდილობთ ქალაქის ფეხზე დაყენებას, არავითარი ზეწოლა პარტიების მიმართ არ ხდება. ჩვენ ვებრძოდით და ვებრძვით იმ პირებს, რომლებიც ხელს შეუშლიან ქალაქში მართლწესრიგის განმტკიცებას და იქადაგებენ საბოტაჟს, უსაქმურობას.

იმ ხალხთან, ვისაც ჯიუტად არ სურს დაინახოს ჩვენში დაწყებული აღმშენებლობითი პროცესი, ჩვენ სადაო და შეუთანხმებელიც არაფერი გვაქვს. მათ საზოგადოება გასცემს პასუხს. ზუგდიდს საკმაოდ ძლიერი ინტელიგენცია, ღონიერი გლეხობა და მუშათა თაობები ჰყავს. ჩვენ „ზვიადისტებს" არ ვერჩით მანამ, სანამ წინააღმდეგობას და ქალაქის დანგრევას არ შეეცდებიან, სანამ ძველი მეთოდებით მოქმედებას არ დაიწყებენ. სხვათა შორის, დღეს ძალიან ბევრი, ადრე „ზვიადისტის" სახელით რომ სარგებლობდა, დღეს საერთო შრომაშია ჩაბმული, ზოგიერთი დავაწინაურეთ კიდეც, რა თქმა უნდა, ვინც შეიგნო და გონს მოეგო.

პრობლემები, რა თქმა უნდა, უამრავი გვაქვს. ქმედითი დახმარება გვჭირდება ცალკეული სამინისტროებიდან, უწყებებიდან. მადლობელი ვართ ყველა იმ პიროვნებისა, იმ საწარმოდაწესებულებების ხელმძღვანელისა, ვინც გადაგვატანინა უმძიმესი დღეები ზუგდიდში, მხარში გვედგა და დღესაც გვიდგას. ჩვენ ვცდილობთ ჩვენივე ძალებით, კომერციული საქმიანობით მოვუაროთ ადგილობრივ პრობლემებს, რომ კისერზე არ დავაწვეთ რესპუბლიკის ისედაც მწირ ბიუჯეტს.

ცალკე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ჟურნალისტს, ვინც იყო ჩვენთან ამ ბოლო ხანებში და ობიექტურად გააშუქა აქ მიმდინარე პროცესები.

**— გმადლობთ საუბრისათვის.**

ესაუბრა
სერგო ჯანაშია

გახსენება



# წინათგრძნობა თუ ბედისწერა



მარშ[illegible] ტემბრამდე ჩვენი ოჯახი ოჯახთა შორის უბედნიერესი იყო, — თითქმის მოთქმით გვიყვება წარმოსადეგი, შაოსანი მანდილოსანი, ქალბატონი ეთერი და თვალთაგან ღვარღვარით ჩამოსდის ცრემლი.

ელგუჯა ბალათურიამ, სოხუმელმა ყმაწვილმა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის მესამე კურსის სტუდენტმა, ომის დაწყებისთანავე აილო იარაღი ხელში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა შორის ჩადგა. 1992 წლის 15-16 მარტის შეტევისას მძიმედ დაიჭრა გუმისთასთან. ქუთაისში განკურნეს და, როგორც კი იარამ პირი შეიკრა, ისევ ფრონტის წინა ხაზს მიაშურა.

19 სექტემბერს სოფელ თავისუფლებასთან დაეცა ელგუჯა, გმირული სიკვდილით. 25 სექტემბერს, კარგად მახსოვს, ათამდე გაუბედურებული ოჯახი მოვიარეთ, მათ შორის შოთა ბალათურიას, ელგუჯას მამის ოჯახსაც ვუთხარით სამძიმარი. მძიმე ძაძებით შემოსილი ახალგაზრდა ქვრივი და უბედური დედა დასტიროდნენ სრულიად ახალგაზრდა მებრძოლის ცხედარს. იქვე იდგა ელგუჯას მამა, ქვის ქანდაკებასავით გამეხებული, ჭაღაროსანი, წარმოსადეგი ვაჟკაცი, მესამე საშუალო სკოლის სამხედრო ნაწილის გამგე და გეოგრაფიის მასწავლებელი. თავისი პატიოსნებითა და სიდარბაისლით ქალაქ სოხუმში ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

შვილის დაკრძალვის მესამე დღეს, 27 სექტემბრის დილით ქალბატონი ეთერი თავისი ფეხით მივიდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში და პირადად ესაუბრა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ქალაქი ხომ არ დაეცემა, ახლად გაჭრილი შვილის საფლავი როგორ მივატოვოო და არც მიუტოვებია არც მას და არც მის მეუღლეს ბატონ შოთას. ნაშუადღევი მოტანებული იყო, სარდაფში რომ მოულოდნელად შემოაბიჯეს უცხო შეიარაღებულმა პირებმა, ჯერ ჩვენები ეგონათ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ გადამთიელ და ადგილობრივ ბანდიტებთან ჰქონდათ საქმე. სარდაფიდან არც გამოუყვანიათ, იქვე დაუხვრიტეს მეუღლე და დარჩა ქალბატონი ეთერი უმწეო, დაქვრივებული რძლითა და ორი მცირეწლოვანი შვილიშვილით.

მეტად გულდასაწყვეტია ისიც, რომ ბატონ შოთას, რომელმაც ვაჟიშვილი საკუთარი ხელით მიაბარა მიწას, ქალიშვილის ნანა ბალათურიას სიკვდილის ამბავიც ისე ჩაყვა საფლავში, რომ ეს ამბავი მეუღლისთვის არც გაუმხელია. არადა, საბედნიეროდ, ნანა ცოცხალი აღმოჩნდა და დღეს მწარედ დასტირის მამისა და ძმის უნახავ საფლავებს დედასთან, ქალბატონ ეთერი ბალათურიასთან ერთად.

გაოგნებული დავცქერი სურათს, რომელზედაც მთელი ოჯახია აღბეჭდილი, მეორე გვერდზე კი ფოტოსურათს ასეთი წარწერა ახლავს: „1993 წელი, თებერვალი, ჩემი ბედნიერების უკანასკნელი წელი..."

რა არის ეს, წინათგრძნობა თუ ბედისწერა და რამდენ ქართულ ოჯახს დაებედა იგი და ვინ არის ყოველივე ამაში დამნაშავე?!

ჯანო ჯანელიძე

# არა ის რეჟიმი, არა ეს რეჟიმი, არამედ რაღაც სხვა...

## (გასაუბრება «მრგვალმაგიდელთან»)

მეორე გვერდიდან

ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავდა.

და ბოლოს, ის ხელისუფლება, რომლის უმაღლესი წარმომადგენელი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის სახით (არ დავაკონკრეტებთ) ხშირად თვითნებობისა და უკანონობის მაგალითებს უჩვენებდა ქვეყანას, ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავდა.

რა თქმა უნდა, დღევანდელი ხელისუფლებისათვის უფრო მძიმე ბრალდებების წაყენება შეიძლება, მაგრამ ახალი ხელისუფლების უვარგისობა, ძველ ხელისუფლებას ცოდვებს ვერ მოსწმენდს და ღირსეულად ვერ წარმოაჩენს.

ყოველივე . ზემოთქმულმა გამსახურდიას ხელისუფლების მიმართ საზოგადოების დიდ ნაწილში უარყოფითი დამოკიდებულება წარმოქმნა, რამაც საბოლოო ჯამში ბევრად .განსაზღვრა ამ ხელისუფლების ბედი. ისტორიიდან ვერ ამოიშლება „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების წინაალმდეგ მრავალათეულათასიანი მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებიც პრეზიდენტის გადადგომისა და ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნის ლოზუნგების ქვეშ იმართებოდა.

შემდგომ, როგორც ცნობილია, ტრაგიკული მოვლენები დატრიალდა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებზე გულაცრუებულმა ხალხის დიდმა ნაწილმა 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებში უპირატესობა მიანიჭა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე უდიდეს ავტორიტეტმოპოვებულ ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც თავის იმიჯით მართლაც დიდ. იმედებს ბადებდა, რამაც ეროვნული მოძრაობის ბევრი წარმომადგენელიც, ისევ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მის გვერდზე დააყენა. სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის პირველ ხანებში, ერთის მხრივ, ძნელად გასათვლელი იყო, ხოლო მეორეს მხრივ, საკმაოდ ადვილი. ძნელად გასათვლელი იყო იმდენად, რომ შეფასების ერთი კრიტერიუმის ˙მიხედვით შევარდნაძე თავისი პოლიტიკური კარიერის დაისში იმყოფებოდა, სსრკ იმპერია დაშლილი იყო და ქართველ კაცს საშუალება ჰქონდა საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ებრძოლა. ელემენტარული ლოგიკის მიხედვით შევარდნაძეს ამაზე დიდი მიზანი რა უნდა ჰქონოდა. მას, როგორც ქართველ კაცს, ეძლეოდა შანსი, რომ საქართველოს ისტორიაში დიდი გამარჯვებების მქონე მეფეთა გვერდით მოეპოვებინა ადგილი. მაგრამ შეფასების მეორე კრიტერიუმი აღმოჩნდა უფრო მართალი და მძლავრი. ამ კრიტერიუმის მიხედვით ედუარდ შევარდნაძე რუსული მენტალიტეტის და რუსული ორიენტაციის კაცია თავისი აღზრდით, ზნეობითა და სულისკვეთებით. რაც შეეხება ორიენტაციას, მას . საქართველო რუსეთის გარეშე სიცოცხლისუნარიან პოლიტიკურ უჯრედად ვერც კი წარმოუდგენია. ხოლო ზნეობის თვალსაზრისით იგი კომუნისტური მორალით აღზრდილი პიროვნებაა, რომელშიც მთავარ პოსტულატად ითვლებოდა — მიზანი ამართლებს საშუალებას. აქედან გამომდინარე, სამაჩაბლო და აფხაზეთი შევარდნაძის მიერ იმ აქილევსის ქუსლად იქნა გამოყენებული, რომელსაც თავისი კაპიტულანტური პოლიტიკით მახვილი თვითონ ჩასცა.

შევარდნაძის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ეკლესიაში გიორგით მონათვლისა, მასში სავლე პავლედ ვერ გარდაიქმნა და იგი საქართველოს ახალ პირობებში კვლავ ძველ ამპლუაში — რუსეთის მარიონეტული პოლიტიკის გამტარებლად მოევლინა.

უდაოდ დამაფიქრებელი და მტკივნეული მაგალითია ყოველივე ეს ქართველი ამომრჩევლისათვის, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების ამომრჩეველთა სიფრთხილეს თითოეული კანდიდატურის შეფასების დროს.

იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც გულწრფელად სურს ეროვნული ძალების გაერთიანება დღევანდელი ხელისუფლების დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში და მშვიდობიანი მეთოდებით ამ ხელისუფლების ეროვნული ძალებით შეცვლა, უნდა უარყოს მენტორული ტონი და საერთო ენის გამონახვის, კონსესუსის გამოძებნის გზით, იზრუნოს ეროვნული მოძრაობის გაერთიანებისათვის. დღეს ხომ მაინც ნათელია, რომ პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსვამ და გახლეჩვამ კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა. ერთმანეთზე პრეტენზიების წაყენებით, რითაც არც ჩემი წერილია დაზღვეული, ვერც სიმართლე გაირკვევა და გაერთიანების საქმესაც დიდი ვნება მიადგება. ხოლო ამ ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი გზით მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ძალთა საყოველთაო ერთიანობის შემთხვევაში თუ მიიღწევა. რაც შეეხება ძალისმიერ მეთოდებს, უკვე ბევრჯერ აღინიშნა, რომ ეს უფრო დიდ ნგრევას და დაცემას გამოიწვევს. ამავე დროს კი, არ არის გამორიცხული, რომ სამოქალაქო სამხედრო შეტაკებაში რუსეთის მიმართ უფრო მარიონეტულად განწყობილმა ძალებმა გაიმარჯვონ, რადგან საეჭვო აღარ არის,რომ დღესდღეობით საქართველოში რუსეთის ფული და იარაღი უდიდეს როლს თამაშობს, ხოლო ვისაც უფრო მიუწვდება ხელი ამ ფულზე და იარაღზე, გამარჯვებასაც ის მოიპოვებს. მიუწვდება კი მას, ვინც რუსეთს უკეთეს სამსახურს ჰპირდება. ბატონო მიხეილ, გეშინოდეს მათი და არა ერთმანეთის — ანუ სხვადასხვა პოზიციებზე მდგარი, მაგრამ მაინც ეროვნული ძალებისა.

**ბია თვალავაძე**

## ახალი გამოცემები

### სამაგიდო წიგნი

საბაზრო ურთიერთობის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანა დიდად არის დამოკიდებული მისი სათანადო ლიტერატურით უზრუნველყოფაზე. ამ მხრივ კი საქმე ჩვენში არც ისე სახარბიელოდაა. ქართული ეკონომიკური ლიტერატურა არაა მდიდარი საბაზრო ეკონომიკაზე მიძღვნილი ნაშრომებით: აღნიშნულის თვალთახედვით უდაოდ მნიშვნელოვანია ამ საკითხისადმი მიძღვნილი უცხოური ლიტერატურის თარგმნა-გამოცემა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მისასალმებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრის (გამგე, პროფ. კ.ლურწკაია) ინიციატივა, ვისი ძალისხმევითაც ითარგმნა და საქპროფგამმა გამოსცა ეკონომიკური თეორიის საკითხისადმი მიძღვნილი მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელოს, კ.რ.მაკკონელისა და ს.ლ. ბრიუს „ეკონომიკსი“. იგი ნამდვილად სამაგიდო წიგნია ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის და განსაკუთრებით კი ეკონომისტებისა და სხვა მრავალთათვის.




„ეკონომიკსი“ წარმოადგენს დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ს სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების უაღრესად რთული პროცესების ღრმა მეცნიერული გაანალიზების საფუძველზე შედგენილ, საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ სახელმძღვანელოს. მასში, კარგად შერჩეული ფაქტობრივი მონაცემების მომარჯვებით შესანიშნავადაა გაშუქებული ეკონომიკური კატეგორიებისა და კანონების მოქმედების თავისებურებანი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირებისა და დომინირების პირობებში.

სახელმძღვანელო მთლიანად ოთხ ნაწილად გამოვა. დღეისათვის ბაზარს მიეწოდება ორი ნაწილი, დანარჩენი ორი კი დამუშავების პროცესშია და მალე მიიღებს დაინტერესებული მკითხველი. „ეკონომიკსის“ ქართულ ენაზე გამოსვლა მართლაც საეტაპო მნიშვნელობისაა ქართული ეკონომიკური მეცნიერებისათვის, მისი საკვანძო საკითხების ახლებურად გააზრებისათვის.

უნდა ითქვას ისიც, რომ წიგნი მაღალ პროფესიულ დონეზეა თარგმნილი და პოლიგრაფიულადაც მაღალ დონეზეა გამოცემული.

**რ. გველესიანი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

JDM

საფინანსო-სატრასტო კომპანია „JDM“ იღებს კრედიტებს მოსახლეობისაგან შემდეგი საპროცენტო განაკვეთით:

2 თვიანი ხელშეკრულება წინასწარ 4%, ყოველთვიურად 12%.
წინასწარ 5%, ორი თვის ბოლოს 24%.
3 თვიანი ხელშეკრულება: წინასწარ 7%, ყოველთვიურად 12%.
წინასწარ 8% სამი თვის ბოლოს 36%.
6 თვიანი ხელშეკრულება წინასწარ 10%, სამ თვეში ერთხელ გატანით 40%.
წინასწარ 12%, სამი თვის ბოლოს 90%.
მისამართი: ჭავჭავაძის პრ. №74, მე-2 სართ. ტელ. 22-59—58

თუ გაწუხებთ შინაგანი ორგანოების (თავის ტკივილი, ნევროზი, რადიკულიტი, ჰიპერტონია, კუჭ-ნაწლავი, ქალური) დაავადებები, გირჩევთ შეეხმიანოთ ექსტრასენსული მეთოდებით მკურნალ ნინო დიასამიძეს.

როგორც ცნობილია ექსტრასენსული მეთოდებით მკურნალობა კეთილ გავლენას ახდენს ავადმყოფის ჯანმრთელობის აღდგენისათვის.

თავის დროზე ქ-ნი ნინო მკურნალობის ექსტრასენსულ მეთოდებს სრულყოფდა ცნობილ თანამემამულე და უცხოელ სპეციალისტებთან ერთად.

ქ-ნ ნინო მუშაობს რკინიგზის საკვანძო პოლიკლინიკაში ცოტნე დადიანის ქ. №87. მეტრო ნაძალადევთან. ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობის წინ.

ტელეფონი: 66-26-48

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ქეთი დავლიანიძე, ბელა ებანოიძე,
ნინო ზამთარაძე, ბია თვალავაძე,
ირმა ლომაური, ნინო შაცურია
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ: რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი სახელშეკრულებო